პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი
№ 103 (11409)
ხუთშაბათი, 7 მაისი, 1959 წ.
ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადიოს დღე

რა დიდ სიხარულს, ნეტარებას, სულიერ კმაყოფილებას გვანიჭებს რადიო, რომელიც ასე ფართოდ შეიჭრა და დამკვიდრდა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. რადიო და ტელევიზია ხელს უწყობს მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებას, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის პოპულარიზაციას, მასების კულტურული ცხოვრების დონის ამაღლებას. ამით აიხსნება, რომ რადიოს დღე ჩვენს ქვეყანაში აღინიშნება, როგორც ტრადიციული დღესასწაული.

სამოცდათოთხი წლის წინათ დიდმა რუსმა მეცნიერმა ალექსანდრე პოპოვმა მსოფლიოში პირველმა აამუშავა მის მიერ შექმნილი რადიომიმღები. ეს ფაქტი დაედო საფუძვლად რადიოს დღის დაბადებას. დიდი რუსი მეცნიერის აღმოჩენამ ხელი შეუწყო მსოფლიო მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის სწრაფ აღმავლობას.

რადიოს სრულყოფილი განვითარება ჩვენს ქვეყანაში დაიწყო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის უშუალო მზრუნველობით, დიდ ლენინს რადიო, როგორც უქაღალდო და უმანძილო გაზეთი, მიაჩნდა მასების განათლებისა და კომუნისტური აღზრდის მძლავრ საშუალებად.

ლენინის საქმის ერთგული კომუნისტური პარტია ყოველთვის დიდ მზრუნველობას იჩენდა რადიოტექნიკისა და რადიომაუწყებლობის სწრაფი განვითარებისათვის, ქალაქებისა და სოფლების რადიოფიცირებისათვის.

სახელოვან კომუნისტურ პარტიას, მშობლიური მეცნიერების განვითარების მაღალ დონეს უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ რადიომაუწყებლობის ქსელით დაფარულია ჩვენი ქვეყნის ქალაქები და სოფლები, რომ რადიო უადვილებს საბჭოთა ადამიანს შრომასა და დასვენებას, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის დაუფლებას, შორეულ კუთხეებშიც კი აწვდის ცნობებს ჩვენი თუ სხვა ქვეყნების ცხოვრებისა და საერთაშორისო მოვლენების შესახებ.

სახელოვან კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მეცნიერებს უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ დღეს კოსმოსური სივრციდან, სადაც დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი დაჰქრის, რადიოაპარატის მეშვეობით ფრიად მნიშვნელოვან ცნობებს ვიღებთ და რადიო გვეხმარება კოსმოსის ათვისებაში.

ათეულ ათასობით რადიოკვანძი, ათეულ მილიონობით რადიომიმღები და სატრანსლაციო წერტი, მილიონობით ტელევიზორი დგას საბჭოთა ხალხის სამსახურში. და როცა თვალს ვავლებთ რადიოტექნიკისა და რადიომაუწყებლობის განვითარების ისტორიას, გვაოცებს, რა მოკლეა განვლილი პერიოდი და რა დიდია ამ პერიოდში მიღწეული წარმატებები!

წელს ჩვენს ქვეყანაში რადიოს დღე აღინიშნება გრანდიოზული შვიდწლიანი გეგმის განხორციელებისათვის დაძაბული შემოქმედებითი შრომის ვითარებაში. როდესაც პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი შევიდა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში და სულ უფრო სწრაფად მიემართება სანუკვარი მიზნისაკენ. კომუნიზმის მშენებელ ხალხს აღაფრთოვანებს და დიადი გეგმის განხორციელებაში ჯეროვან სამსახურს უწევს ჩვენი მშობლიური, საბჭოთა რადიო, რომელიც კაპიტალისტური ქვეყნების რადიოსაგან განსხვავებით მშრომელი მასების მსახურია, მართალი სიტყვით განამტკიცებს მშვიდობას და ხალხთა შორის მეგობრობას, უმღერის პატიოსან, კეთილსინდისიერ შრომასა და კომუნიზმის მშენებლობას.

რადიო არა მარტო სწავლასა, შრომასა და დასვენებაში გვეხმარება, იგი ხალხთა შორის კულტურული კავშირის განმტკიცების მძლავრი საშუალებაც არის. საბჭოთა ადამიანები დიდი ინტერესით ისმენენ გადმოცემებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, უნგრეთიდან, რუმინეთიდან, ბულგარეთიდან, ალბანეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. ასევე ისმენენ სხვა ქვეყნების მშრომლები სპეციალურად მათთვის განკუთვნილ გადაცემებს ჩვენი ქვეყნიდან. ეს კი ხელს უწყობს ხალხთა შორის ურთიერთგაგების, მეგობრობის, მშვიდობის განმტკიცებას. მცირე მნიშვნელობა როდი აქვს იმას, რომ საბჭოთა კავშირის რადიოსადგურები გადაცემებს აწყობენ საბჭოთა კავშირის და სხვა ქვეყნების ხალხთა 89 ენაზე.

დიდი პერსპექტივებია დასახული რადიოს და ტელევიზიის განვითარების საქმეში მიმდინარე შვიდწლედში. გათვალისწინებულია ამ პერიოდში დამთავრდეს საკოლმეურნეო სოფლების რადიოფიცირება, სატელევიზიო სადგურების რაოდენობა უნდა გადიდდეს 2,6-ჯერ.

რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული ჩვენს რესპუბლიკაშიც. სულ უფრო იზრდება რადიოფიცირებული სოფლების რიცხვი, უმჯობესდება გადაცემების ხარისხი. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს ამ დარგში, მაღალმთიანი რაიონების მთელი რიგი სოფლები რადიოფიცირებული არ არის. რადიომსმენელები მოითხოვენ მოწინავეთა შრომის გამოცდილების უფრო სრულყოფილ პროპაგანდას, გადაცემების ხარისხის შემდგომ ამაღლებას.

რადიოს მუშაკთა საპატიო მოვალეობაა დაუცხრომლად იმუშაონ შვიდწლიანი გეგმით დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის, რადიოქსელის შემდგომი გაფართოებისათვის, რადიოგადაცემებისა და ტელეგადაცემების კულტურის ამაღლებისათვის, მშრომელთა მზარდი მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილებისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ელჩი რ. დვორჟაკი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა 5 მაისს მიიღო ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში რ. დვორჟაკი და მეგობრული საუბარი ჰქონდა მასთან.

ინდოეთის ჯამუსა და ქაშმირის შტატის მეთაური კარან სინგჰი თბილისში

6 მაისს სოჭიდან თბილისს ჩამოვიდა ინდოეთის ჯამუსა და ქაშმირის შტატის მეთაური იუვარაჯი კარან სინგჰი მეუღლითურთ.

ინდოეთის შტატის მეთაურთან ერთად ჩამოვიდა შტატის ეკონომიკისა და ფინანსების საკითხთა მდივანი პ. ნ. ჩაკო.

საბჭოთა კავშირში მოგზაურობისას სტუმრებს ახლავან ტაჯიკეთის სსრ კულტურის მინისტრი ალიჯულ იმამოვი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

აეროდრომზე ქაშმირის სახელმწიფო მოღვაწესა და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ი. კუჩავა, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ე. მელაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ა. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ბ. ვ. ლორთქიფანიძე, ჟურნალისტები.

კარან სინგჰმა მეგობრულად ჩამოართვა ხელი შემხვედრებს და მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის, ამასთან შენიშნა — რა საუცხოო მზიან დღეს ჩამოვედით თქვენთან.

— ძლიერ მოხარული ვართ თქვენი ჩამობრძანებით, — უპასუხა მ. ი. კუჩავამ.

აეროდრომიდან კარან სინგჰი მეუღლითურთ და მისი თანმხლები პირები გაემგზავრნენ მათთვის განკუთვნილ რეზიდენციაში. (საქდესი).

კარან სინგჰმა ვიზიტი გაუკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გ. დ. ჯავახიშვილს

თბილისში მყოფმა ინდოეთის ჯამუსა და ქაშმირის შტატის მეთაურმა იუვარაჯმა კარან სინგჰმა მეუღლითურთ 6 მაისს ვიზიტი გაუკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გ. დ. ჯავახიშვილს.

ვიზიტის დროს გაიმართა მეგობრული საუბარი, რომელმაც განსაკუთრებით გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. გ. დ. ჯავახიშვილმა კმაყოფილება გამოთქვა საპატიო ინდოელი სტუმრების ჩამოსვლის გამო. მან აღნიშნა, რომ ქართველი ხალხი სიამოვნებით იგონებს ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ჯავაჰარლალ ნერუს ყოფნას რესპუბლიკაში.

კარან სინგჰმა განაცხადა, რომ მან გულითადი სალამი ჩამოუტანა ქართველ ხალხს ინდოელი ხალხისაგან და განსაკუთრებით ჯამუსა და ქაშმირის შტატის მოსახლეობისაგან. ინდოეთის სახელმწიფო მოღვაწემ თქვა, რომ იგი და მისი მეგობრები დაინტერესებული არიან გაეცნონ საბჭოთა ხალხის, და კერძოდ, ქართველი ხალხის მიღწევებს. მან მისცა მთელი რიგი შეკითხვები საქართველოში მებაღეობის, მეჩაიეობისა და მევენახეობის განვითარების შესახებ.

კარან სინგჰმა თქვა, რომ ყველგან, სადაც იგი იყო საბჭოთა კავშირში, საბჭოთა ადამიანები გამოთქვამდნენ თავიანთ სიმპათიებს ინდოელი ხალხისადმი. ჩვენ ყველგან დიდი სტუმართმოყვარეობით გვხვდებიან, ხაზგასმით აღნიშნა მან. ჩვენშიც, დასძინა შემდეგ იუვარაჯმა კარან სინგჰმა, გულთბილად, სულით და გულით ხვდებიან საბჭოთა წარმომადგენლებს.

ვიზიტს ინდოეთის მხრივ დაესწრო ინდოეთის ჯამუსა და ქაშმირის შტატის ეკონომიურ და ფინანსურ საკითხთა მდივანი პ. ნ. ჩაკო.

საბჭოთა მხრივ დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ი. კუჩავა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ო. დ. გოცირიძე, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი ბ. ა. ჩხეიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ბ. ვ. ლორთქიფანიძე, აგრეთვე ტაჯიკეთის სსრ კულტურის მინისტრი ალიჯულ იმამოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, რომლებიც ინდოელ სტუმრებს ახლავან საბჭოთა კავშირში მოგზაურობისას, პრესის წარმომადგენლები. (საქდესი).

• • •

6 მაისს ინდოეთის ჯამუსა და ქაშმირის შტატის მეთაური იუვარაჯი კარან სინგჰი მეუღლითურთ და თანმხლები პირები ეცნობოდნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს. სტუმრები იყვნენ ქალაქის სხვადასხვა რაიონში, დაათვალიერეს მისი ახალშენებანი.

დიდი ინტერესით გაეცნენ კარან სინგჰი და მისი მეუღლე პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს. ბავშვებმა გულთბილი შეხვედრა გაუმართეს მათ, უჩვენეს თავიანთი წარმატებანი მხატვრულ თვითმოქმედებაში.

საღამოს საპატიო ინდოელი სტუმრები ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაესწრნენ ბალეტ „ოტელოს“. (საქდესი).

დედაქალაქის პრესის მუშაკთა კრება

დიდი და საპატიო ამოცანები დგას საბჭოთა პრესის წინაშე, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ გამოზარდა. მთავარ ამოცანად პრესის მუშაკებს ახლა მიაჩნიათ დარაზმონ მასები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, შვიდწლიანი გეგმის გრანდიოზულ დავალებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

5 მაისს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა მოსკოვის ჟურნალ-გაზეთების, გამომცემლობების, პოლიგრაფიული საწარმოების მუშაკებისა და მუშკორთა აქტივის კრება. კრება გახსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. უსტინოვმა. მოხსენება პრესის დღის შესახებ გააკეთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილემ ა. ვ. რომანოვმა.

სვეტებიან დარბაზში იყვნენ მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების გაზეთების კორესპონდენტები.

კრების მონაწილეებმა მიიღეს მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

კრების სახელზე პრაღიდან მოვიდა ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის მისასალმებელი დეპეშა.

• • •

პრესის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებები გაიმართა აგრეთვე კიევში, ბაქოში, თბილისში, ტაშკენტში, ფრუნზეში, სტალინაბადში, ვილნიუსში, არხანგელსკში, ბრიანსკში, უფასა და სხვა ქალაქებში. (საქდესი).

140.000 ტონა ჩაისათვის!

მოდის ქართული ჩაი!

★

მადლიანი საქმე

აბაშა. (ტელეფონით). წელს ძველაბაშელმა კოლმეურნეებმა უკეთესად მოუარეს ჩაის ბუჩქებს. ამის შედეგად ვეგეტაციაც კარგია. აქ ჩაის ფოთოლი საკრეფად რაიონში ყველაზე ადრე შემოვიდა. პირველ დღესვე კოლმეურნეები ორგანიზებულად გავიდნენ ხავერდოვან პლანტაციებში „მწვანე ოქროს“ საკრეფად. მკრეფავებმა ნათელა შეროზიამ და შურა კუპრავამ პირველ დღესვე 30-30 კილოგრამი ფოთოლი მოკრიფეს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 კილოგრამისა. კოლმეურნეობაში მთლიანად უკვე მოკრეფილია 1.500 კილოგრამი ჩაის მაღალხარისხოვანი ფოთოლი.

სოფელ ნორიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები კრეფის დაწყების პირველი დღიდანვე ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ დილით ადრე მოკრეფილი ჩაის ნედლეული ფაბრიკას გადასამუშავებლად ჩაბარდეს იმავე დღის პირველ ნახევარში, ხოლო დღის მეორე ნახევარში მოკრეფილი ფოთოლი გადასამუშავებლად ფაბრიკამ მიიღოს იმავე დღეს.

დავალებას ოთხმაგად ანაღდებენ

წყალტუბო. (საკ. კორ.). კოლმეურნეობებში უკვე მასობრივად ჩაღდება ჩაის ფოთლის კრეფა. ამ სამუშაოს შეუდგა თოთხმეტი კოლმეურნეობა. სამ დღეში წყალტუბოელმა მეჩაიეებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 15 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული.

ჩაის კრეფაში დაწინაურდა სოფელ გუმბრის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. დიდ წარმატებებს აღწევენ კოლმეურნეები ნინო გურეშიძე, ოლია უშვერიძე და გუგული მელაძე. თითოეული მათგანი დღეში 70 კილოგრამ ჩაის ნედლეულს კრეფს და დავალებას ოთხმაგად ანაღდებს.

ხობის რაიონის სოფლებში

ხობი. (ტელეფონით). ირიჟრაჟებს თუ არა საკოლმეურნეო სოფლის შარაგზაზე ხმაური და ფუსფუსი იწყება. მთელი სოფელი იღვიძებს. გულმხიარული ხობლელები საკოლმეურნეო მინდვრებისაკენ მიიჩქარიან.

რაიონში უკვე დაიწყო ჩაის ფოთლის შერჩევით კრეფა. ამ სამუშაოს ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა სოფელ ნოჯიხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. ამ კოლმეურნეობიდან ყოველდღიურად ხობის ჩაის ფაბრიკა გადასამუშავებლად ასეული კილოგრამობით ფოთლის ნედლეულს იღებს. მარტო გუშინ კოლმეურნეობაში მოიკრიფა 420 კილოგრამამდე ფოთოლი. კრეფაში დაწინაურდა ის ბრიგადა, რომელსაც გ. ჩიტაია ხელმძღვანელობს.

წელს ჩაის ფოთოლს კარგი პირი უჩანს სოფელ ძველი ხიბულის კოლმეურნეობაში. აქ უკვე მოკრიფეს 600 კილოგრამამდე მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა შ. პიპია, ე. ჭანია და შ. ქავთარაძე. თვითეული მათგანი ფოთლის კრეფის ყოველდღიურ დავალებას 180-200 პროცენტით ასრულებს.

★

საქართველოს მეჩაიეებო! გახსოვდეთ, რომ თქვენ იკისრეთ:

◆ მიმდინარე წელს—შვიდწლედის პირველ წელს მოკრიფოთ 140 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ანუ გეგმის გადამეტებით 7 ათასი ტონა, ხოლო 1965 წელს — 200.000 ტონა.

◆ მიიღოთ ზომები ჩაის პლანტაციების წესრიგზე მოყვანისათვის, უახლოესი ორი წლის განმავლობაში მოსპოთ ჩაის პლანტაციების სიმეჩხრე, ამასთან ჩაის პლანტაციების რემონტისათვის გამოიყენოთ შეხავსებული ნერგები.

◆ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოაწყოთ თავშესაფარი ფარდულები, სასადილოები, საბავშვო ბაგები და ბაღები და უზრუნველყოთ მკრეფავები სპეცტანსაცმლით.

• • •

საქართველოს მეჩაიეებო, გახსოვდეთ, რომ გამარჯვება თავისით არ მოდის. არ დაიშუროთ ძალღონე ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ შესრულებისათვის.

ეს იქნება ღირსეული წვლილი დიადი შვიდწლედის წარმატებით განხორციელების საქმეში.

დიდება მას, ვინც თავისი თავდადებული შრომით სახელს უხვეჭს თავის მშობლიურ ქვეყანას!

★

მოკრეფილია ორ ტონაზე მეტი

სამტრედია. (ტელეფონით). უკვე ხუთი დღეა სამტრედიის მთელ რიგ კოლმეურნეობებში შეუდგნენ ჩაის ფოთლის კრეფას. სოფელ ჯიხაიშის ნინოშვილის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრეფილია 700 კილოგრამი ჩაის ნედლეული. ამ კოლმეურნეობის მეჩაიე შ. კაკაბაძე დღეში 10-15 კილოგრამს კრეფს.

ამავე სოფლის კოლმეურნეობა „შრომაში“ ორ დღეში მოკრიფეს 171 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში — 318 კილოგრამი, კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“ — 700 კილოგრამი. ამ კოლმეურნეობაში დაწინაურდა ციალა დადუნაშვილი. იგი ყოველდღიურ დავალებას 140-150 პროცენტით ასრულებს.

სამტრედიელმა მეჩაიეებმა დღემდე 2.000 კილოგრამზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს.

იცნობდეთ, ესენი ჩაის კრეფის გუშინდელი დღის გმირები არიან

1959
მაისი
6

ზუგდიდი

მარო მაკარიძის რგოლის წევრები შეუფერხებლად კრეფენ ჩაის ფოთოლს სოფელ კორცხელის კოლმეურნეობაში. გუშინ ამ რგოლმა მოკრიფა 250 კილოგრამი ჩაის მაღალხარისხოვანი ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 200 კილოგრამისა.

შოთა გელენავა ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში კომუნისტური შრომის ბრიგადას ხელმძღვანელობს. მან გუშინ ფოთლის ნედლეულის კრეფის დღიური ნორმა ორმაგად შეასრულა. მოკრიფა 350 კილოგრამი ჩაი.

ნაპო თოდუა ამავე მეურნეობაში ბრიგადის ხელმძღვანელია. ამ ბრიგადამ ერთ დღეს მოკრიფა 300 კილოგრამი ჩაი ნაცვლად 250 კილოგრამისა.

გული ნარსია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. იგი მუშაობს სოფელ ჭაქვინჯის კოლმეურნეობაში. ამხ. ნარსიამ გუშინ მოკრიფა 26 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და ამით დღიურ გეგმას 16 კილოგრამით გადააჭარბა.

მახარაძე

ვალერიან კილაძე სოფელ თხილაურის გენიჩესკის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადის ხელმძღვანელია. ამ ბრიგადამ გუშინ მოკრიფა 300 კილოგრამი ჩაი ნაცვლად 200 კილოგრამისა.

მარინე კილაძე ამავე კოლმეურნეობის წევრია. მან ერთ დღეს მოკრიფა 30 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 15 კილოგრამისა.

მარგარიტა ლეჟავამ, რომელიც ამავე კოლმეურნეობაში მუშაობს, მოკრიფა 32 კილოგრამი ჩაის ნედლეული და ამით დღიურ ნორმას 17 კილოგრამით გადააჭარბა.

ნორა კილაძემ ამავე კოლმეურნეობაში მოკრიფა 30 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და დღიური ნორმა ორმაგად შეასრულა.

წალენჯიხა

ნათელა ქარდავა მთელი დღე ჩაის პლანტაციებში ტრიალებს და უდანაკარგოდ იღებს ჩაის მოსავალს. მან სოფელ ორჯონიკიძის კოლმეურნეობაში 6 მაისს მოკრიფა 27 კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 კილოგრამისა.

თამარ ჭანტურიამ ამავე კოლმეურნეობაში ერთ დღეს მოკრიფა 25 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და ამით კრეფის ნორმას 15 კილოგრამით გადააჭარბა.

ნათელა მანია გარიჟრაჟიდან გვიან საღამომდე მუშაობს ჩაის პლანტაციაში. მან სოფელ ორჯონიკიძის კოლმეურნეობაში ერთ დღეს მოკრიფა 24 კილოგრამი ჩაის ნედლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 კილოგრამისა.

გალი

ტატიანა გოგოხიამ სოფელ მზიურის კოლმეურნეობაში მოკრიფა 29 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და ამით ჩაის კრეფის დღიური გეგმა 280 პროცენტით გაანაღდა.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა ბათუმის რაიონის სოფელ მეჯინისწყლის კოლმეურნეობაში. წინა პლანზეა არტელის მოწინავე მკრეფავი ჟუჟუნა გორგაძე, რომელმაც ვალდებულება იკისრა წელს სახელმწიფოს ჩააბაროს 2 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ფოტო ნ. ანასტასიევისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

სამშობლოს — მეტი და მაღალხარისხოვანი ჩაი

ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

სოხუმი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ და კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა 6 მაისს მოიწვიეს ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი. თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სახალხო მეურნეობის საბჭოს, კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის, ტრესტ „საქართველოს ჩაის“, სოფლის მეურნეობის სამინისტროს პასუხისმგებელმა მუშაკებმა. თათბირზე შეიკრიბნენ საქართველოს ჩაის მრეწველობის, მეჩაიეობის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის მუშაკები, სამეცნიერო-საკვლევი და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების წარმომადგენლები, გამომგონებლები და ნოვატორები.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ი. ჩოგოვაძემ.

თათბირმა განიხილა ორი საკითხი: „საქართველოს ჩაის მრეწველობის მუშაობის 1958 წლის შედეგები და 1959 წლის ამოცანები“ და „ჩაის მრეწველობის საწარმოთა კოლექტივების მიერ 1958 წელს ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შედეგებისა და 1959 წელს სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ“.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ტრესტ „საქართველოს ჩაის“ მმართველმა ამხ. ა. ხუროძემ.

გაიმართა კამათი. სიტყვებით გამოვიდნენ ქობარის ჩაის ფაბრიკის დირექტორი ლ. გოგუა, გურიანთას ჩაის ფაბრიკის დირექტორი ვ. ტაკიძე, ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკის დირექტორი ო. აბესაძე, ჩაის მრეწველობის ანასეულის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი დ. ფანცხავა, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ო. აშხიანი, ინჟინერ-ტექნოლოგი შ. მარდალეიშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე მ. დოლაბერიძე, საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე შ. კერესელიძე და სხვები, სულ 14 კაცი.

თათბირზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ქადაგიძემ.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. აფაქიძემ.

ამხ. აფაქიძემ ტრესტ „საქართველოს ჩაისა“ და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები გადასცა გურიანთის ჩაის ფაბრიკის კოლექტივს 1958 წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის და ჩაქვის ჩაის ფაბრიკის კოლექტივს — 1959 წლის პირველ კვარტალში საუკეთესო შედეგებისათვის.

თათბირის სრული ანგარიში გაზეთის უახლოეს ნომერში გამოქვეყნდება.

ვ. ი. ლენინის გენიალური ნაშრომის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის" 50 წლისთავისათვის

შემოქმედებითი მარქსიზმის ძვირფასი განძი

• • •

მაისში სრულდება 50 წელი ვ. ი. ლენინის წიგნის — „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის" გამოქვეყნების დღიდან. ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას ფართოდ აღნიშნავს საბჭოთა საზოგადოებრიობა. ეწყობა ლექციები, სემინარები, თეორიული კონფერენციები, მიძღვნილი დიდი ლენინის ამ ნაშრომისადმი.

„კომუნისტის" რედაქცია დღეიდან იწყებს მასალების ბეჭდვას ნაშრომის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის" 50 წლისთვის აღსანიშნავად.

• • •

დიდი ლენინის გენიალური ნაშრომი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" ეკუთვნის იმ წიგნთა რიცხვს, რომლებიც არასოდეს არ კარგავენ თავიანთ ცხოველმყოფელობას, გზას უნათებენ მომავალ თაობებს და აიარაღებენ მათ კაცობრიობის ბედნიერი მომავლისათვის — კომუნიზმისათვის საბრძოლველად.

მარქსისა და ენგელსის შემდგომი ეპოქის საზოგადოებრივი ცხოვრების ღრმა მეცნიერული ანალიზი, ბუნებათმეცნიერების უახლეს აღმოჩენათა განზოგადება, მარქსიზმის იდეური მტრების განადგურება, ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის თეორიული საფუძვლების — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემდგომი განვითარება — ასეთია ის ამოცანები, რომლებიც ასე ბრწყინვალედ გადაწყვიტა ლენინმა თავის უკვდავ შრომაში.

„მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" გამოქვეყნდა რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ, როდესაც კონტრრევოლუციური ძალები რეპრესიებითა და ტერორით ანადგურებდნენ მუშათა კლასს, მის ორგანიზაციებს.

მარქსიზმის ძლევამოსილ ფილოსოფიურ მოძღვრებას იდეურად გაკოტრებული ბურჟუაზია ვერაფერს „ახალს" ვერ უპირისპირებს და იძულებულია დაბრუნდეს „უკან კანტისაკენ", ხოლო კანტიდან, იუმის გზით, ბერკლისაკენ წავიდეს. ყოველი რეაქციული ბურჟუაზიული ფილოსოფიური „სკოლა", მცირე თუ დიდი, აგნოსტიციზმისა და სუბიექტური იდეალიზმის გზით მიემართება, მაგრამ აღარ ეწევა იდეალიზმის აშკარა პროპაგანდას, როგორც ადრე, ცდილობს შენიღბული სახით გამოვიდეს, კერძოდ, მოხსნას ფილოსოფიის ძირითადი საკითხი — ყოფიერებისა და ცნობიერების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა, „მეტაფიზიკად" გამოაცხადოს იგი, უარყოს ფილოსოფიურ მიმდინარეობათა დაყოფა მატერიალიზმად და იდეალიზმად, დადგეს მათზე „მაღლა" და ფილოსოფია შემოფარგლოს მხოლოდ შემეცნების თეორიით.

ერთ-ერთი რეაქციული სკოლა, რომელიც მჭიდროდ დაუკავშირდა სხვა იდეალისტურ სკოლებს — ნეოკანტიანელობას, იმანენტებს, პრაგმატიზმს და სხვ., იყო მახიზმი — ემპირიოკრიტიციზმი ანუ „წმინდა ცდის კრიტიკის" ფილოსოფია.

ლენინმა ნათლად აჩვენა, რომ ემპირიოკრიტიციზმი ბერკლიანელობაა შეცვლილი ფილოსოფიური ტერმინოლოგიით.

მახიზმი უარყოფს საგანთა ობიექტურ არსებობას, ფილოსოფიის ამოსავლად თვლის „უშუალოდ მოცემულს", „ჩვენი ცდის ელემენტებს", რომლებიც პირველადი. ფიზიკური და ფსიქიკური სამყაროს საფუძველში მყოფი „განუყოფელი" ნაწილაკებია. სამყარო მახის თვალსაზრისით წარმოადგენს „ელემენტების კომპლექსს", ხოლო ელემენტები მასი გაგებით შეგრძნებებია. ნაცვლად ბერკლის გამოთქმისა „შეგრძნებათა კომპლექსი", შექმნა სიტყვიერად ახალი, მაგრამ იმავე შინაარსის მქონე ცნება — „ელემენტების კომპლექსი".

ასეთივე სუბიექტურ-იდეალისტურია „პრინციპული კოორდინაციის" თეორია. „ამ ფილოსოფიის უაზრობა იმაშია, ამბობდა ლენინი, რომ მას მივყავართ სოლიფსიზმამდე, იმის აღიარებამდე, რომ მხოლოდ ერთადერთი ფილოსოფიურად მოაზროვნე ინდივიდი არსებობს".

ემპირიოკრიტიციზმის წინააღმდეგ ბრძოლა ლენინს მიაჩნდა არა გზასაცდენილი მოაზროვნეების ჯგუფის წინააღმდეგ თეორიულ ბრძოლად, არამედ მუშათა კლასის სასიცოცხლო ინტერესების გამომხატველი რევოლუციური პარტიის პოლიტიკური ხაზისათვის ბრძოლად. „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" თეორიისა და პრაქტიკის, ფილოსოფიისა და პოლიტიკის შინაგანი კავშირის დასაბუთების კლასიკური ნიმუშია.

ვ. ი. ლენინმა არა მარტო დაიცვა დიალექტიკური მატერიალიზმი, არამედ შემოქმედებითად განავითარა იგი ახალი ისტორიული პირობების შესაბამისად. „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" მარქსისტული ფილოსოფიის განვითარების ახალი ეტაპია.

ყველაზე უფრო მკაფიოდ ეს მარქსისტული შემეცნების თეორიის განვითარებით გამოიხატა და ამიტომ სავსებით სამართლიანად იწოდება იგი ასახვის ლენინურ თეორიად.

ბურჟუაზიული ფილოსოფიის სპეციალიზებამ გნოსეოლოგიის საკითხებზე ერთი მხრივ და ბუნებათმეცნიერების უახლესი აღმოჩენების განზოგადების აუცილებლობამ მეორე მხრივ წინა პლანზე მარქსისტული შემეცნების თეორიის საკითხების დეტალური დამუშავების პრობლემა დააყენა.

განიხილავს რა ენგელსის მაგალითს ალიზარინის აღმოჩენის შესახებ, ლენინი აკეთებს სამ გნოსეოლოგიურ დასკვნას:

„1. საგნები არსებობენ ჩვენი ცნობიერების, ჩვენი შეგრძნების დამოუკიდებლად, ჩვენს გარეშე..."

„2. სრულიად არავითარი პრინციპული განსხვავება არ არსებობს... საგანსა თავისთავად და მოვლენას შორის. განსხვავება არის მხოლოდ იმას შორის, რაც შეცნობილია, და იმასა, რაც ჯერ კიდევ შეცნობილი არ არის..."

„3. შემეცნების თეორიაში, ისევე როგორც მეცნიერების ყველა სხვა დარგში, დიალექტიკურად უნდა ვიმსჯელოთ, ე. ი. ჩვენი ცოდნა მზამზარეულად და უცვლელად როდი უნდა ვიგულისხმოთ, არამედ უნდა გავარკვიოთ, როგორ იბადება **უცოდინარობისაგან ცოდნა**, როგორ ხდება არასრული და არაზუსტი ცოდნა უფრო სრული და უფრო ზუსტი".

ეს დასკვნები ლენინმა დაუპირისპირა როგორც იდეალისტურ და აგნოსტიკურ თეორიებს, ისე მეტაფიზიკურ მატერიალიზმს, რომელიც თუმცა სამყაროს შეცნობადობის თვალსაზრისზე დგას, მაგრამ ვერ ხსნის შემეცნების დიალექტიკას.

ლენინი ხაზს უსვამს იმას, რომ შემეცნების პროცესი არსების წვდომის პროცესია, საგანთა განვითარების დიალექტიკას ასახავს, თვითონ არის დიალექტიკური პროცესი. ამიტომ აზროვნების დიალექტიკური კანონები და ობიექტური სინამდვილის კანონები იგივეობრივნი არიან. ამ საფუძველზე ლენინმა წამოაყენა დებულება დიალექტიკის როგორც ლოგიკის და შემეცნების თეორიის ერთიანობის შესახებ.

ლენინმა მოგვცა ცნობიერებისა და ობიექტური სინამდვილის დიალექტიკური კავშირის ღრმა მეცნიერული ანალიზი; მან დაასაბუთა დებულება, რომ რამდენადაც შემეცნების პროცესში ობიექტურ კანონზომიერებათა შემეცნება ხდება, ცნობიერების შინაარსი და გარესამყაროს განვითარების კანონები ერთმანეთს ემთხვევიან, ხოლო რადგან ცნობიერება იდეალურია, ობიექტური სინამდვილისაგან განსხვავებული, მისდამი დაპირისპირებული, მას თავისი სპეციფიკური კანონები აქვს.

განიხილავდა რა შემეცნებას, როგორც ისტორიულ პროცესს, ლენინმა დაასაბუთა, რომ არცოდნიდან ცოდნისაკენ გზა იწყება უშუალო ცოცხალი განჭვრეტით, მიემართება აბსტრაქტული აზრისაკენ და მისგან პრაქტიკისაკენ, რომ ეს უშუალო და გაშუალებული შემეცნება, პრაქტიკით შემოწმებული, ჭეშმარიტების წვდომის ერთადერთი გზაა.

ლენინმა წინ წასწია მარქსიზმის მოძღვრება შემეცნებაში შეგრძნებისა და აზროვნების როლის შესახებ. აკრიტიკებდა რა „იეროგლიფების" ანუ „სიმბოლოების" თეორიას, რომელიც შეგრძნებებს ობიექტური სინამდვილის სიმბოლოებად აცხადებს, ლენინი შეგრძნებებს განსაზღვრავდა როგორც გარეგანი გაღიზიანების ენერგიის ცნობიერების ფაქტად გადაქცევას, სინამდვილის ასახვის თავისებურ ფორმას, წარმოშობილს ორგანული მატერიის განვითარების გარკვეულ საფეხურზე. ასახვის ფორმათა ისტორიულ რიგში შეგრძნებას თავისი ადგილი უჭირავს. იგი არ არის ასახვის არც პირველი და არც უკანასკნელი ფორმა. ლენინის თქმით, თავისებური თვისებრივად განსხვავებული ასახვა გვაქვს არაორგანულ სამყაროშიც, რადგან ასახვის უნარი საფუძვლად უდევს მატერიას და მისი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვა თვისებრივ გარკვეულობას იძენს.

ლენინმა ამომწურავი პასუხი გასცა შემეცნების პროცესში აზროვნების როლის საკითხს. მან ცხადყო მისი გრძნობადი შემეცნებისაგან განსხვავება, აჩვენა, რომ აზროვნების შინაარსი სინამდვილის კანონებია, რომ ცნებათა კავშირი მოვლენათა კავშირის ასახვაა.

ლენინმა ახალ საფეხურზე აიყვანა მარქსისტული მოძღვრება ჭეშმარიტების შესახებ, მოგვცა ჭეშმარიტების ზუსტი და ამომწურავი განსაზღვრება. ჭეშმარიტება, ლენინის განსაზღვრებით, არის ცნობიერების ისეთი შინაარსი, რომელიც დამოუკიდებელია ადამიანისაგან, კაცობრიობისაგან. ჭეშმარიტების ობიექტურობა არ ნიშნავს მის ობიექტურად არსებობას: ჭეშმარიტება ობიექტური კანონზომიერების ამსახველი აზრია, იგი ცნობიერებაშია, რადგან მცდარობა და ჭეშმარიტება აზრებს ახასიათებთ და არა საგნებს.

დიალექტიკის გამოყენების ბრწყინვალე ნიმუშია ლენინის მიერ აბსოლუტური და შეფარდებითი ჭეშმარიტების ურთიერთდამოკიდებულების საკითხის გადაწყვეტა. ლენინი შენიშნავს, რომ საკითხი, შეიძლება თუ არა ადამიანის ცნობიერებაში გამოიხატოს ჭეშმარიტება ერთბაშად, მთლიანად, არის აბსოლუტური და შეფარდებითი ჭეშმარიტების ურთიერთობის საკითხი. ყოველი ჭეშმარიტება აბსოლუტურიც არის და შეფარდებითიც, რადგან სინამდვილის სურათი თანდათან ზუსტდება, უახლოვდება ორიგინალს, მაგრამ ვერასოდეს ვერ ამოწურავს მას. ეს პროცესი დაუბოლოვებელი პროცესია, რომელიც ადამიანის წარმოებითი საქმიანობის დაბოლოებულ, ისტორიულად განსაზღვრულ საფეხურებში ვლინდება.

ლენინმა დაასაბუთა, რომ პრაქტიკა არის შემეცნების პროცესის საფუძველი, მისი წყარო და ჭეშმარიტების კრიტერიუმი, რომ ადამიანი მხოლოდ მოქმედებაში, მხოლოდ პრაქტიკის საფუძველზე შეიცნობს სინამდვილეს.

დაუფასებელია ის დიდი როლი, რაც „მატერიალიზმმა და ემპირიოკრიტიციზმმა" შეასრულა ბუნებათმეცნიერების უახლესი აღმოჩენების მატერიალისტურ ინტერპრეტაციაში. XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის უდიდესმა აღმოჩენებმა ძირეულად შეცვალეს კლასიკური ფიზიკის შეხედულებები მატერიის აღნაგობის შესახებ. ახალი, ექსპერიმენტულად დასაბუთებული ფაქტები დაუპირისპირდნენ ძველ თეორიებს. აუცილებელი გახდა საყოველთაოდ მიღებული ცნებებისა და კატეგორიების შეცვლა. ფიზიკის წინსვლამ, ელექტრონებისა და რადიოაქტიურობის აღმოჩენამ გამოიწვია „უახლესი რევოლუცია ბუნებათმეცნიერებაში".

„თანამედროვე ფიზიკის კრიზისის დედაარსი მდგომარეობს ძველი კანონების და ძირითადი პრინციპების მსხვრევაში, ცნობიერების გარეშე არსებული ობიექტური რეალობის უკუგდებაში, ე. ი. მატერიალიზმის შეცვლაში იდეალიზმით და აგნოსტიციზმით. „მატერია გაქრა" — ასე შეიძლება გამოვხატოთ ის ძირითადი და მრავალი კერძო საკითხის მიმართ ტიპიური სიძნელე, რომელმაც ეს კრიზისი შექმნა".

ფიზიკური მოვლენების მათემატიკური განტოლებებით შეცვლა და უკიდურესი რელატივიზმი — ასეთი იყო ფიზიკის განვითარების შედეგებიდან გაკეთებული იდეალისტური დასკვნები. „ფიზიკური" იდეალიზმი უარყოფდა ობიექტურ რეალობას, ჭეშმარიტების, ცოდნის შესაძლებლობას.

ლენინმა დიალექტიკის ბრწყინვალედ მომარჯვებით ახსნა ფიზიკის კრიზისის მიზეზები და დასახა ჩიხიდან მისი გამოსვლის გზა, რომელიც მდგომარეობდა ფიზიკის მონაპოვრის განზოგადებაში დიალექტიკურ-მატერიალისტური პოზიციებიდან. ლენინმა დაასაბუთა, რომ ახალი ფიზიკა არა სპობს ძველს, არამედ აზუსტებს მას, ჩარჩოებში მოაქცევს იმას, რასაც წინათ აბსოლუტურობის პრეტენზია ჰქონდა, რომ ქრება არა მატერია, რომელიც მარადიულია და ობიექტურად არსებობს, არამედ ის საზღვარი, რომელსაც მეცნიერება იცნობდა.

XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ბუნებათმეცნიერული აღმოჩენების განზოგადებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ბუნებათმეცნიერებისათვის, არამედ თვით მარქსისტული ფილოსოფიისთვისაც, დიალექტიკური მატერიალიზმისთვისაც, რომელიც იღებს ახალ ფორმას ყოველი ახალი დიდი აღმოჩენის შემდეგ. ბუნებათმეცნიერების შემდგომმა განვითარებამ ბრწყინვალედ დაადასტურა ლენინის გენიალური მეცნიერული წინასწარჭვრეტა.

მახისტებმა თავიანთი სუბიექტურ-იდეალისტური თვალსაზრისი გაავრცელეს საზოგადოებრივ მოვლენებზეც, დაუპირისპირეს იგი მეცნიერული აზრის უდიდეს მონაპოვარს — ისტორიულ მატერიალიზმს, მის ძირითად დებულებებს საზოგადოებრივი ყოფიერების არსის, საზოგადოებრივი ცნობიერებისადმი მისი დამოკიდებულების და სხვ. შესახებ.

ლენინმა მკაცრად გააკრიტიკა რუსი მახისტი ბოგდანოვი, რომელიც აიგივებდა საზოგადოებრივ ცნობიერებასა და ყოფიერებას, ადამიანთა ურთიერთობის საფუძვლად აცხადებდა არსებობისათვის ბრძოლას და ამ ურთიერთობას თვლიდა არა ადამიანთა ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად, არამედ სავსებით შეგნებულად, ცნობიერად. ლენინმა ნიღაბი ახადა ემპირიოკრიტიკოსთა ანტიმარქსისტულ, რევიზიონისტულ შეხედულებებს, მიმართულს მუშათა კლასის, მისი პარტიის პოლიტიკური ხაზის, რევოლუციური მარქსისტული სტრატეგიისა და ტაქტიკის წინააღმდეგ.

„მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის" გამოქვეყნებიდან გასული 50 წელი სავსეა უდიდესი ცვლილებებით საზოგადოებრივ ცხოვრებასა და მეცნიერებაში: შეიქმნა პირველი სოციალისტური სახელმწიფო — საბჭოთა კავშირი, წარმოიშვნენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, სოციალიზმი გადაიქცა მსოფლიო სისტემად, ჩვენს ქვეყანაში დაიწყო კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდი, ბუნებათმეცნიერების განვითარებამ შექმნა ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში — დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები, კოსმოსური სივრცის დაპყრობის რეალური შესაძლებლობანი.

ყველაფერს ამას კაცობრიობა უნდა უმადლოდეს მუშათა კლასის დიდ ბელადს ვ. ი. ლენინს, რომელმაც მარქსიზმის სიწმინდისათვის შეურიგებელ ბრძოლაში განავითარა, ახალ საფეხურზე აიყვანა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი—მარქსისტული პარტიების პოლიტიკის მეცნიერული საფუძვლები.

„მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" ძვირფასი შენაძენია მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში. მასზე აღიზარდნენ და აღიზრდებიან თაობები, რომლებმაც მთელ მსოფლიოში კომუნიზმის მშენებლობის დიადი ამოცანები უნდა გადაწყვიტონ.

შ. გაბილაია.

თეორიული კონფერენცია

საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის კიროვის სახელობის რაიკომის ლექტორიუმში ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა თეორიული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის წიგნის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის" გამოსვლის 50 წლისთავს. კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის კიროვის რაიკომის მდივანმა თ. ხელაშვილმა.

ვ. ი. ლენინის წიგნის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის" ისტორიული მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა რაიკომის ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ზ. ფორაქიშვილმა. მოხსენება თემაზე — „ვ. ი. ლენინის მიერ მახისტური ფილოსოფიის კრიტიკა" გააკეთა ლექტორთა ჯგუფის წევრმა ვ. ცხვედიანმა. ლექტორმა ვ. თვარაძემ და პროპაგანდისტმა ი. დუბროვსკაიამ თავიანთი მოხსენებანი მიუძღვნეს ვ. ი. ლენინის მიერ მარქსისტული ფილოსოფიის შემდგომი განვითარების ცალკეული საკითხების გაშუქებას. მოხსენებების მოსმენის შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ლექტორთა ჯგუფის წევრმა მ. კუხტაშვილმა, პროპაგანდისტმა გ. კირნოსმა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ზამთარაძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის მეცნიერმუშაკმა ა. ბეგიაშვილმა და სხვ.

შვიდწლედის ფონდში

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა შვიდწლედის ფონდში 99.800 მანეთი შეიტანა.

შოთა კუგლაშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადამ შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდს 19.500 მანეთი შემატა.

ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის მშრომელებმა მიმდინარე წლისათვის შვიდწლედის ფონდის გასადიდებლად ნაკისრი 600 ათასი მანეთიდან უკვე შეიტანეს 250 ათასი მანეთი.

ზესტაფონელმა მძიმეწონოსნებმა შვიდწლედის ფონდში 87.800 მანეთი შეიტანეს.

ათეული ათასები

ჭიათურა. (საკ. კორ.). მ. ი. კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივი თავდადებულად შრომობს მადნის თვითღირებულების შემცირებისა და შვიდწლედის ფონდში ახალი ათეულ ათასობით მანეთის შეტანისათვის.

შეჯამდა პირველი კვარტალის შედეგები. მაღაროს კოლექტივმა საფაბრიკო-საქარხნო თვითღირებულების შემცირებით დაზოგა 84.000 მანეთი, ხოლო ხელფასის ფონდში—15.800 მანეთი. ამრიგად, კალინინელებმა შვიდწლედის ფონდში 99.800 მანეთი შეიტანეს. მომჭირნეობისათვის ბრძოლაში წინ მიდიან პირველი, მეოთხე და მეხუთე უბნების კოლექტივები, რომლებსაც ამხ. ა. ფერაძე, ვ. სიკინჭილაშვილი და ვ. მასხარაშვილი ხელმძღვანელობენ. მათ ორი-სამი მანეთით შეამცირეს ტონა მადნის თვითღირებულება. ამის შედეგად პირველი უბნის კოლექტივმა შვიდწლედის ფონდში შეიტანა 17.133 მანეთი, მეოთხე უბნის კოლექტივმა — 16.790 მანეთი, ხოლო მეხუთე უბნისამ — 30.631 მანეთი.

მაღაროს კოლექტივი სულ უფრო აძლიერებს მუშაობას, იბრძვის შვიდწლედის ფონდში ახალი ათეულ ათასობით მანეთის შეტანისათვის.

მძიმეწონოსნები — შვიდწლედს

ზესტაფონის სალოკომოტივო დეპოს კოლექტივმა მტკიცედ დაუჭირა მხარი ქუთაისელ ავტომობილმშენებელთა პატრიოტულ მოძრაობას შვიდწლედის რესპუბლიკური ფონდის შექმნისათვის. ზესტაფონელმა მეელმავლეებმა ლოკომოტივების სადღეღამისო გარბენა საათში 3.9 კილომეტრით გაზარდეს და გეგმის გადამეტებით 415 ათას ტონაზე მეტი სახალხო-სამეურნეო ტვირთი გადაზიდეს. მარტო სამ თვეში მათ შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში 87.800 მანეთი შეიტანეს.

მძიმე წონის მატარებლების ტარების ოსტატები გ. არაბიძე, გ. თუთბერიძე, ი. უგრელიძე და ვ. ჭულუხაძე მტკიცე სიტყვას იძლევიან, რომ კიდევ მრავალ ათას მანეთს შემატებენ შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდს.

ო. ნიქაბაძე,
გაზეთ „ლენინელის" რედაქტორის მოადგილე.

მეშახტეთა სიტყვა მტკიცეა

ტყიბული. (საკ. კორ.). კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც ნოვატორი მეშახტე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. კუბლაშვილი ხელმძღვანელობს, წარმატებით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, ბრიგადის თვიური წევრი ნორმის გადამეტებით საშუალოდ ცვლაში 4,7 ტონა ქვანახშირს იღებს, ვალდებულება კი მხოლოდ 2,5 ტონა ზეგეგმითი ქვანახშირის ამოღებას ითვალისწინებს. ბრიგადამ თითქმის 60 პროცენტით აამაღლა შრომის ნაყოფიერება და შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში 19.500 მანეთი გადარიცხა.

ლაშქრობის მოწინავე ხაზზე

ავტომობილმშენებელთა პატრიოტული მოწოდების პასუხად ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივმა გადაწყვიტა 1959 წელს შვიდწლედის ფონდში შეეტანა 600 ათასი მანეთი, თვითეულ მომუშავეზე მიაღწიოს სულ ცოტა 1.200 მანეთ ზეგეგმით ეკონომიას, დაზოგილი ნედლეულისა და დამხმარე მასალებისაგან დამატებით გამოუშვას 8 ათასი წყვილი ფეხსაცმელი.

განვლილ თვეებში მუშაობის შედეგები მოწმობენ, რომ მეფეხსაცმელეები მტკიცედ დადგნენ ეკონომიისათვის ლაშქრობის მოწინავე ხაზზე. მათ გადამეტებით შეასრულეს კვარტალის დავალება და 300 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვეს. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ მთელი წლისათვის ნაკისრი 600 ათასი მანეთის ანგარიშში მარტო სამ თვეში შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეტანილია 250 ათასი მანეთი, ხოლო დაზოგილი ნედლეულით გამოშვებულია დამატებითი ზეგეგმითი პროდუქცია — 2.800 წყვილი ფეხსაცმელი.

ამოძრავდა ეკონომიისა და ყაირათიანობის მდიდარი შინაგანი რეზერვები. პირველ კვარტალში გაწეულია 37.900 დეციმეტრი რბილი ტყავისა და 16.500 დეციმეტრი მაგარი ტყავის ეკონომია, დაზოგილია 21.000 კილოვატ-საათი ელექტროენერგია. კომბინატის მუშაკთა ინიციატივით ათვისებულია და წელს საწარმოში დაინერგა მამაკაცისა და ვაჟის ფეხსაცმლის კერვის ახალი რაციონალური მეთოდი — ნაწიბურის გაუხსნელად ძირის ერთდროულად მიკერება, რაც წლიურად 70 ათას მანეთ ეკონომიას იძლევა.

განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვების 0,8 პროცენტით გადიდებამ მარტო პირველ კვარტალში სახელმწიფოს 106.700 მანეთი დაუზოგა.

ეკონომიისათვის ლაშქრობაში შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ საძირისა და საპირის ამჭრელ საამქროთა მუშები კ. ყურაშვილი, თ. ბირკაძე, გ. ციბაძე, მ. ჭიჭილეიშვილი, ნ. გიორგაძე, ზ. ჭულუხაძე, ს. კუხიანიძე და სხვები. საძირის ამჭრელმა კ. ყურაშვილმა განვლილ სამ თვეში 5.627 დეციმეტრი მაგარი ტყავი დაზოგა, მისი ეკონომიის პირად ანგარიშზე მოდის 6.500 მანეთი. საძირის ამჭრელმა თ. ბირკაძემ უკვე მიაღწია 4.800 მანეთ ზეგეგმით ეკონომიას, ხოლო საპირის ამჭრელმა ნ. გიორგაძემ — 1.067 მანეთის ეკონომიას.

ქუთაისელი მეფეხსაცმელეები პრაქტიკულად ახორციელებენ შვიდწლედის ფონდის შესაქმნელად ნაკისრ ვალდებულებებს.

შ. ჯაჯანაძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში ერთ-ერთი მოწინავეა ახალგაზრდა მღარავი ბ. ლაკლაკიშვილი, რომელიც წარმატებით იბრძვის შვიდწლედის ფონდის გასადიდებლად. იგი მუშაობასთან ერთად სწავლობს ავტომექანიკური ტექნიკუმის მეოთხე კურსზე. **სურათზე:** ბ. ლაკლაკიშვილი მუშაობის დროს.

ფოტო თ. არჩვაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

მაისიდან მაისამდე

ვარდობისა და სილამაზის თვეა მაისი. მთელი ძალით გაღვიძებული ბუნება დიადი შვიდწლედის პირველი წლის გაზაფხულს ზეიმობს. ეს ზეიმი ჩვენი დროის ადამიანთა შემოქმედებითს შრომასა და ცხოვრებაშია ჩაქსოვილი.

მაგრამ ეს ერთი წელიწადი — მაისიდან მაისამდე, უფრო ღირსშესანიშნავი მოვლენებით არის აღსავსე. საკოლმეურნეო სოფელში არსებითი გარდატეხა მოხდა. სამამულო ტექნიკა ამიერიდან ერთი პატრონის — კოლმეურნეობების ხელში გადავიდა. ვრცელ მინდვრებზე ახალი ძალით აგუგუნდნენ ტრაქტორები, კომბაინები, სათესები, კულტივატორები და სხვა მანქანები უფრო გამართულად, მაღალი წარმადობით მუშაობენ.

ეს გარდაქმნები როგორც ყველგან, მკაფიოდ იგრძნობა ვანის რაიონშიც. სოფლის მეურნეობის ინსპექციის მუშაობის პირველი ნაბიჯები სწორედ იმით დაიწყო, რომ სპეციალისტები მიახლოებოდნენ უშუალოდ წარმოებას, ადგილზე გადაეწყვიტათ, მოეგვარებინათ სადღეისო საკითხები და აგროღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებით აემაღლებინათ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

— სოფლის მეურნეობის ინსპექციის მუშაკებს, — ამბობს ინსპექციის უფროსი გ. მაღლაკელიძე — დიდი პასუხსაგები უბნები აბარიათ. ისინი უმთავრესად კოლმეურნეობებში არიან და სერიოზულ დახმარებას უწევენ ამა თუ იმ საკითხის მოგვარებაში. მთავარი აგრონომი კ. ტყეშელაშვილი საქმის ცოდნით ხელმძღვანელობს ყველა კულტურის მოსავლიანობის გადიდების საქმეს. უფროსი აგრონომი ვ. ნანაძე პასუხისმგებელია მრავალწლიანი კულტურების მოვლა-დამუშავებისა და მოსავლიანობის ზრდის საქმეში.

ასევე კარგად უძღვებიან მინდობილ უბნებს მთავარი ზოოტექნიკოსი ვ. ძაგნიძე, უფროსი ზოოტექნიკოსი გ. უჯმაჯურიძე. მთავარი ვეტექიმი ო. ლასხიშვილი და სხვა სპეციალისტები. კარგი საქმე გაკეთდა სარემონტო-ტექნიკურ სადგურიდან ინჟინერ-კონტროლიორის და მცენარეთა დაცვის აგრონომის გადმოსვლით ინსპექციაში სამუშაოდ.

— მაინც რა პრაქტიკული დახმარება გაგიწევიათ კოლმეურნეობებისათვის? — ამ კითხვაზე გ. მაღლაკელიძემ გაიხსენა:

— სოფელ საპრასიაში დიდი თოვლი მოვიდა. გზები ჩაიკეტა. პირუტყვის საკვები შემოელიათ. გამოსავალი ვერ მონახეს. ინსპექციის ზოოტექნიკოსი გ. უჯმაჯურიძე ადგილზე მივიდა. მან მეცხოველეთა დახმარებით ბარის ზონის კოლმეურნეობებიდან შეზიდა პირუტყვის საკვები. ეს დახმარება ერთ კვირას გაგრძელდა, და კოლმეურნეობას არავითარი ზიანი არ მოსვლია.

— შუამთის კოლმეურნეობაში ზამთრის თვეებში წველადობა შემცირდა. აქედან იტყობინებოდნენ, მეტი რძის მიღება არ შეიძლებაო. ინსპექციაში გადაწყვიტეს შეემოწმებინათ ეს მდგომარეობა და დახმარებაც აღმოეჩინათ. მთავარმა ზოოტექნიკოსმა ვ. ძაგნიძემ ადგილზე ისე მოაწყო მუშაობა, რომ შემდგომში წველადობა ერთიორად გადიდდა. ასევე შემოდგომაზე კოლმეურნეობიდან იტყობინებოდნენ, ვენახების გაშენებისათვის პირობები არა გვაქვსო. სპეციალისტები ამ საქმეშიც დაეხმარნენ. სავენახე ნიადაგი სწრაფად იქნა მომზადებული. დაეხმარნენ ნერგით უზრუნველყოფაში და ჩამორჩენაც გამოსწორდა.

როგორც შარშან, ისე წელს სპეციალისტები უშუალოდ მონაწილეობენ ვენახის, ხეხილის, დაფნის გაშენების გეგმების შესრულების პრაქტიკულ სამუშაოებში. ამის შედეგად დავალება დროულად შესრულდა.

— ყველაზე ჩამორჩენილი დარგი, — ამბობს ინსპექციის უფროსი გ. მაღლაკელიძე, — რაიონში მეცხოველეობა იყო. არ სრულდებოდა წველადობის გეგმები. ასევე არც ერთ წელს არ შესრულებულა სიმინდის მოსავლიანობის დავალება. პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების დახმარებით, სპეციალისტების უშუალო მონაწილეობით შარშან საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებმა კარგ წარმატებებს მიაღწიეს. საშუალოდ რაიონში მიღებულ იქნა 16,9 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12 ცენტნერისა. სასიხარულოა, რომ სიმინდის მოსავლიანობის გეგმები ყველა კოლმეურნეობამ შეასრულა.

თუ გადავხედავთ ცალკეულ კოლმეურნეობათა მუშაობის შედეგებს, მნიშვნელოვანი წინსვლა მოხდა ამ ერთი წლის განმავლობაში. ციხესულორის მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე 45,3 ცენტნერი სიმინდი მიიღო, გეგმა კი 20 ცენტნერს ითვალისწინებდა. მერგოლეურმა ჯ. ფანცულაიამ საშუალოდ ჰექტარზე უზრუნველყო 63,7 ცენტნერი სიმინდის მოყვანა.

რაიონის კოლმეურნეობათა შემოსავლის ძირითადი წყარო ვენახია. ვანელ მევენახეთა წარმატება იმით აღინიშნა, რომ საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 61,7 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 50 ცენტნერისა. მოწინავეთა შორის მოწინავეა დიხაშხოს კოლმეურნეობა, რომელმაც 18 ჰექტარიდან საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანა 99 ცენტნერი ყურძენი. მერგოლეურმა ვ. ბალდავაძემ უზრუნველყო ჰექტარზე 106 ცენტნერი ყურძნის მიღება. ასეთი მაგალითი რაიონში ბევრია.

მუდამ ჩამორჩენილი დარგი — მეცხოველეობა აღმავლობას განიცდის. შარშან მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმა 106 პროცენტით შესრულდა, ღორისა — 110 პროცენტით, ფრინველისა — 102 პროცენტით. რაიონში საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 743 ლიტრი რძე ნაცვლად 700 ლიტრისა. წელს კი უფრო გადიდებული ვალდებულება იკისრეს: საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღონ 1.130 ლიტრი რძე, ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე — 35 ცენტნერი ხორცი ნაცვლად 19 ცენტნერისა, 120 ცენტნერი რძე, შარშან კი მიღებული იყო 74 ცენტნერი. ყოველ 100 ჰექტარ მარცვლეულის ნათესზე კვერცხის წარმოება აიყვანონ 9.500 ცალამდე ნაცვლად შარშან მიღებული 2.600 ცალისა. ასევე მკვეთრად გაადიდებენ ყურძნის მოსავლიანობას, ბოსტნეულის, აბრეშუმის პარკის წარმოებას.

შვიდწლედის პირველი წლის ეს გაზაფხული ვანელ კოლმეურნეთა სერიოზული გამოცდაა. ახლა ეყრება საფუძველი უხვი მოსავლის მიღებას. ამ საქმის ავანგარდში დგანან საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები, ვარდობისა და სილამაზის თვე — მაისი.

ნ. ჯანჯღავა.

ვანის რაიონი.

ეროვნული

თბილისის კულტურის უნივერსიტეტი

პარტიის XXI ყრილობის მიერ მიღებული კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამა საბჭოთა ადამიანებში იწვევს უდიდეს სურვილს იცხოვრონ და იმუშაონ კომუნისტურად, დაეუფლონ ცოდნას, სოციალისტურ კულტურას. ამ პერიოდში მშრომელთა და განსაკუთრებით ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის, ესთეტიკური გემოვნების და კომუნისტური მორალის ფორმირების საკითხები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს. პარტიის XXI ყრილობამ მოუწოდა ლიტერატურის, თეატრის, მუსიკის, კინოსა და სახვითი ხელოვნების მოღვაწეებს აამაღლონ თავიანთი შემოქმედების იდეურ-მხატვრული დონე, გააუმჯობესონ მოღვაწეობა ფართო მასების მორალურ-ესთეტიკური აღზრდის საქმეში.

კულტურის ყველა დარგის მოღვაწეები და შემოქმედებითი კოლექტივები აქტიურად გამოეხმაურნენ პარტიის ყრილობის მოწოდებას და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებსა და მსხვილ საწარმოებში პარტიული ორგანიზაციების დახმარებით მშრომელი ახალგაზრდობისათვის აწყობენ კულტურის უნივერსიტეტებს.

მიმდინარე წლის მარტის პირველ რიცხვებში კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის კალინინის და 26 კომისრის რაიკომების ინიციატივით, საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით, დაარსდა რესპუბლიკაში პირველი თბილისის კულტურის უნივერსიტეტი, რომელიც მიზნად ისახავს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მისცეს საშუალო სკოლადამთავრებულ მუშა და მოსამსახურე ახალგაზრდობას გარკვეული ცოდნა მუსიკის, სახვითი ხელოვნების, ლიტერატურულ-დრამატული, კინოხელოვნების და ესთეტიკის დარგებში.

კულტურის უნივერსიტეტის მზრუნველობის საგანს შეადგენს რაც შეიძლება ფართოდ გააცნოს ჩვენს მშრომელ ახალგაზრდობას ეროვნული და მსოფლიო კულტურის საუკეთესო ნიმუშები, ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები და მათი შემოქმედება, შეასწავლოს მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის ძირითადი პრინციპები, რაც ესოდენ აუცილებელია ყველა საბჭოთა ადამიანისათვის.

ჩვენი პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები ითვალისწინებს კომუნისტური საზოგადოების მძლავრი მატერიალური ბაზის შექმნას. მაგრამ კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ აგრეთვე საბჭოთა ადამიანების სულიერი კულტურის შემდგომი ზრდა და სრულყოფა, რადგან მომავალი კომუნისტური საზოგადოების ეპოქა ხასიათდება არა მარტო მატერიალური დოვლათის სიუხვით, არამედ მხატვრულ ღირებულებათა დოვლათის შექმნითაც. მეცნიერება და ხელოვნება ყველასათვის მისაწვდომი უნდა გახდეს. ეს დღევანდელობის გადაუდებელი ამოცანაა.

ჩვენს ახალგაზრდობას კარგად ესმის ეპოქის ამ ისტორიული ამოცანების მნიშვნელობა. ამის გამოა, რომ კულტურის უნივერსიტეტში გაერთიანებული ახალგაზრდობა მონდომებით მოეკიდა საქმეს, რათა სრულყოფილად დაეუფლოს კაცობრიობის მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობას. თბილისის ახალგაზრდობის მაგალითს მიბაძა გურჯაანის რაიონის მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდობამ. გურჯაანში 6 აპრილს დაარსდა თბილისის კულტურის უნივერსიტეტის ფილიალი. ქართული ხელოვნებისა და მეცნიერების მოღვაწეები დიდი სიამოვნებით გამოეხმაურნენ ამ მშვენიერ წამოწყებას და დაუზარებლად მუშაობენ ბეჯით მსმენელებთან.

ჩვენს კულტურის უნივერსიტეტში სამი ფაკულტეტი მუშაობს. მუსიკალური ფაკულტეტის მსმენელები შეისწავლიან საბჭოთა, ქართულ და საზღვარგარეთელ კომპოზიტორებს. შეიძენენ საჭირო ცოდნას მუსიკალური ხელოვნების ისტორიაში. შეისწავლიან აგრეთვე ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოშობის ისტორიას. მსმენელთათვის მოეწყობა მუსიკის საღამოები სხვადასხვა თემაზე.

სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე უნივერსიტეტის მსმენელები განიხილავენ ჩვენი სამშობლოს და უცხოეთის ქვეყნების სახვითი ხელოვნების განვითარების ძირითად ეტაპებს, გაეცნობიან ქართველი, რუსი და უცხოელი ავტორების ნაწარმოებთა საუკეთესო ნიმუშებს. შეისწავლიან იმას, თუ როგორ უნდა გაიგო მხატვრობა, ქანდაკება და გრაფიკა. ამ ფაკულტეტს ამოცანად აქვს დასახული მხატვრულ გამოფენათა მოწყობა, ხელოვნების მუზეუმის დათვალიერება.

ლიტერატურის, კინოხელოვნებისა და დრამატურგიის ფაკულტეტზე მთავარი ყურადღება მიექცევა საბჭოთა და უცხოეთის ლიტერატურის ახალი ნაწარმოებების და კინოხელოვნების თანამედროვე ეტაპის გაცნობას.

უნივერსიტეტის მსმენელები პოლიტიკურ მოვლენათა საქმის კურსში რომ იყვნენ, მათთვის მოეწყობა საუბრები საერთაშორისო ურთიერთობისა და სხვადასხვა ქვეყნის შინაურ მოვლენათა საკითხებზე. ყოველივე ეს დაეხმარება ახალგაზრდას გაიღრმავოს საშუალო სკოლაში მიღებული განათლება.

ი. თავაძე.

ეგნატე ნინოშვილის დაბადების 100 წლისთავისათვის

გაზეთი მოგვითხრობს...

მალე აღინიშნება ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, საქართველოში პირველი მარქსისტული ორგანიზაციის — „მესამე დასის“ დაარსების აქტიური მონაწილის ეგნატე ნინოშვილის დაბადების 100 წლისთავი.

მთელი ქართველი საზოგადოებრიობა ემზადება ამ ღირსშესანიშნავი თარიღისათვის. მაგრამ ბუნებრივია, რომ ეგნატე ნინოშვილის იუბილესათვის მზადება განსაკუთრებით იგრძნობა ლანჩხუთის რაიონში, სადაც დაიბადა, თავისი სიცოცხლის დიდი ნაწილი გაატარა და ბევრი უკვდავი ქმნილება შექმნა მშრომელი ხალხის გულის მესაიდუმლემ. ორთვენახევარზე მეტია ლანჩხუთის რაიონული გაზეთის „სოციალისტური შრომის“ ფურცლებზე მკითხველები ეცნობიან საინტერესო მასალებს, რომლებიც დაკავშირებულია მათი სახელოვანი თანამემამულის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან. გაზეთი ნომრიდან ნომერში აქვეყნებს ე. ნინოშვილის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების მიმდინარეობას, აშუქებს მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ცალკეულ საკითხებს, ყველაფერს, რაც კი ამ დიდი ქართველი მწერლის სახელთან არის დაკავშირებული.

განსაკუთრებით გულში ჩამწვდომია გაზეთის ფურცლებზე ეგნატეს თანამედროვეთა — ცოცხალ მემატიანეთა — მოგონებანი, რომლებიც დიდი მწერლის ჭეშმარიტ ჰუმანურობასა და ჩაგრული ხალხისადმი სიყვარულზე მეტყველებს.

გაზეთის ერთ-ერთ ნომერში მოყვანილია ამონაწერი ჩიბათელ ვლადიმერ ლომაძის მოგონებიდან:

„ეგნატეს ღარიბი ხალხის შვილები უყვარდა, აგვარჩევდა მოზრდილ მოსწავლეებს და გვეტყოდა—„თქვენ ახალი მომავალი ხართ, ყოველგვარ სიკეთეს მოესწრებითო. კარგად რომ ისწავლით, ცოდნას შეიძენთ, მტერი ვეღარ დაგიბრიყვებთ და ქვეყანასაც გამოადგებითო. ნინოშვილმა მე და ჩემს ღარიბ ამხანაგებს: ბიქტორ ჯორბენაძეს, დიომიდე ხავთასსა და მარკოზ ჩახვაძეს რვეულები გვიყიდა და გრიფელი გვაჩუქა“.

ე. ნინოშვილის ყოფილი მოსწავლე, სოფელ მაჩხვარეთის მცხოვრები ხიო კვაჭაძე თავის წერილში „ეგნატეს ცხოვრების ერთი ეპიზოდი“ წერს:

„ეგნატე სამი წლის განმავლობაში გვასწავლიდა ქართულ წერა-კითხვასა და ანგარიშს... მოწაფეთათვის საჭირო სასწავლო ნივთებს მასწავლებელი თავისი ხელფასით გვიძენდა... ეგნატეს მიერ ნასწავლმა ქართულმა წერა-კითხვამ და ანგარიშმა ცხოვრებაში გზის გაკაფვა გამიადვილა... გავიგე, რომ ნინოშვილის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს იხდიან. სხვაზე უფრო ამ ამბავმა მე ამაღელვა. მე ხომ მისგან დიდად დავალებული ვარ, ჩემისთანები, ვინ იცის, კიდევ რამდენი! ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ მაშინ მშრომელი ხალხის ქომაგობისათვის დევნილი კაცი ახლა პატივისცემითა და დიდებით იხსენიება“.

ცნობილია, რომ ეგნატე ნინოშვილს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა და პირადად იცნობდა დიდი რუსი ხალხის საუკეთესო შვილებს, გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებს. მაქსიმ გორკისა და ეგნატე ნინოშვილის მეგობრობას ასახავს ე. ნინოშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორის მ. ვადაჭკორიას წერილი, რომელიც დოკუმენტურ მასალებზეა აგებული.

„მოწინავე რევოლუციური იდეებით გატაცებულ თბილისელ ახალგაზრდებს, — ნათქვამია წერილში, — 1891 წელს კვირაცხოვლის ქუჩაზე (ახლა გორკის ქუჩა) ეგრეთწოდებული „კრასნოგორსკის კომუნა“ მოუწყიათ... კომუნის წევრები ხშირად თათბირობდნენ საჭირბოროტო საკითხებზე. აქ ერთხანს თავს აფარებდა ახალგაზრდა ალექსი მაქსიმეს-ძე პეშკოვი, შემდეგში გენიალური რუსი მწერალი მაქსიმ გორკი.

1891 წელს თბილისში ჩასული ეგნატე „კრასნოგორსკის კომუნის“ წევრებთან დაბინავდა. გორკიმ და ეგნატემ მალე გამონახეს საერთო ენა. რუსი ჭაბუკი ჩვენს საყვარელ მწერალს ბევრ საინტერესო ამბავს მოუთხრობდა როგორც პირადი ცხოვრებიდან, ისე სხვა მნიშვნელოვან ფაქტებზე. თავის მხრივ ეგნატე ცდილობდა ვალში არ დარჩენოდა ამ გონიერ ახალგაზრდას. გორკი მოხიბლული იყო ნინოშვილის ადამიანური თვისებებით, პირდაპირობით, საფუძვლიანი ცოდნითა და ხალასი ნიჭით. ლიტერატურითა და ხელოვნებით გატაცებული პეშკოვი უდიდეს ინტერესს იჩენდა ნინოშვილის შემოქმედებისადმი და ჩვენს სახელოვან მწერალს უბედნიერეს ადამიანად თვლიდა. მან იცოდა, რომ ეგნატეს მშრომელი ხალხის ჭეშმარიტი სიყვარული ჰქონდა მოპოვებული“.

ბევრ საყურადღებო ფაქტს ეცნობა გაზეთ „სოციალისტური შრომის“ მკითხველი წერილებში „ეგნატე ნინოშვილი და იაკობ გოგებაშვილი“, „ეგნატე ნინოშვილის ბიოგრაფიული ცნობები“, „ეგნატე ჩიბათში“ და სხვ.

ეგნატე ნინოშვილის საიუბილეო დღეებისათვის მზადებას მიუძღვნა გაზეთმა რამდენიმე ლიტერატურული გვერდი და რეპორტაჟი, მრავალი ინფორმაცია და კორესპონდენცია. თითქმის ყველა მასალა ცოცხლად და საინტერესოდ არის დაწერილი.

იუბილეს დღეებში

შაბათს, 9 მაისს, 12 საათზე მწერლის სოფელში — ჩანჩეთში (ლანჩხუთის რაიონი) გაიმართება ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, პირველი მარქსისტული ორგანიზაციის „მესამე დასის“ დაარსების აქტიური მონაწილის ეგნატე ნინოშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მშრომელთა მიტინგი.

ამავე დღეს 17 საათზე ქ. ლანჩხუთში სახალხო თეატრში გაიმართება ე. ნინოშვილის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

მიტინგსა და საღამოში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები და საზოგადო მოღვაწენი.

ორშაბათს, 11 მაისს, საღამოს 8 საათზე თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართება ე. ნინოშვილის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო.

შრომა და სიხარული

დღეები დღეებს ცვლიან და იტეხება სულ უფრო მეტი ყამირი, ამოაქვთ სულ უფრო მეტი ქვანახშირი, ძვირფასი მადნეული, იზრდება და შენდება საყვარელი სამშობლო... ჩვენს ადამიანებს, მხნე და ვაჟკაც ადამიანებს მთებიც ვერ უძლებენ და, კაცმა რომ თქვას, რა არის მთა, თუ გულში სიყვარულია და მკლავში ძალა!

ქვაისელებსაც თავიანთი მტკიცე მარჯვენით ბევრი სასახელო საქმე აქვთ შესრულებული, შვიდწლედს ფალავნებივით შესჭიდებიან.

ქვაისის მაღაროთსამმართველოს მუშა-მოსამსახურეებმა ამ დღეებში მიიღეს შესანიშნავი საჩუქარი — ახალი კულტურის სახლი. თვალსა და გულს რომ გაუხარდება, სწორედ ისეთია. მათ შრომაც იციან და სიხარულიც. სიხარულისთვის კი კულტურის სახლს რა შეედრება.

სურათზე: ქვაისის ახალი კულტურის სახლის მაყურებელთა დარბაზი.

ფოტო ვ. უბოჟენკოსი (საქდესის ფოტოქრონიკა).

ხალხთა ლენინური მეგობრობის დროშით

ტრადიციული შეჯიბრება

სტალინირი. (საკ. კორ.). მეოთხე წელია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული აზერბაიჯანის სსრ მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქთან. წელს ამ ოლქების მშრომელებმა კვლავ გადაწყვიტეს განაგრძონ ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება.

ახლახან შედგა სამხრეთ ოსეთის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრება. შეკრების მონაწილენი გაეცნენ მთიანი ყარაბაღის მშრომელთა ვალდებულებებს და თავიანთი მხრივ ახალი კონკრეტული ვალდებულებები იკისრეს 1959 წლისათვის.

სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ 1958 წელს წინა წელთან შედარებით სამხრეთ ოსეთმა, ისევე როგორც მთიანი ყარაბაღის ავტონომიურმა ოლქმა, გარკვეულ წარმატებებს მიაღწია მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში. შარშან ორივე ოლქმა გადაჭარბებით შეასრულა მრეწველობაში საერთო პროდუქციის გამოშვების დავალებანი. გაიზარდა პირუტყვის სულადობა, ამაღლდა მისი პროდუქტიულობა. ფართოდ დაიწყო ბაღების, ვენახების გაშენება, იმატა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობამ.

მაგრამ სამხრეთ ოსეთისა და მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის მშრომელები ამით როდი კმაყოფილდებიან.

ყარაბაღელები ვალდებულებას კისრულობენ 1958 წელთან შედარებით წელს 20-25 პროცენტით გაადიდონ მარცვლეულის, ტექნიკური კულტურებისა და ბაღვენახების მოსავლიანობა, ბამბის მთელი სათესი ფართობის 80 პროცენტი დათესონ კვადრატულ-ბუდობრივად, აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა შეასრულონ 102 პროცენტით, თვითეულ ძროხაზე მიიღონ 1.200 კილოგრამი რძე.

მაღალი ვალდებულებები იკისრეს სამხრეთ ოსეთის მშრომელებმაც. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრებაზე მიღებულ იქნა ვალდებულება მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება განაღდებულ იქნას 25 დეკემბრისათვის. სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობები 1959 წელს მარცვლეულის მოსავალს ჰექტარზე 12 ცენტნერს მიიღებენ, მათ შორის 20 ცენტნერს სიმინდს. წელს 10 ათასით გაიზრდება წვრილფეხა პირუტყვის სულადობა, შარშანდელთან შედარებით 100 კილოგრამით მეტი რძე იქნება მიღებული თვითეულ საფურაჟე ძროხაზე.

ვალდებულებათა განაღდებისათვის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება.

რადიომსმენელთა შენიშვნები

სოფლის მშრომელთა სურვილები

ჩვენი რესპუბლიკის რადიომაუწყებლობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდას, შვიდწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანების გაშუქებას, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში საბჭოთა კავშირის უდიდეს წარმატებათა ჩვენებას.

მიუხედავად მუშაობის გაუმჯობესებისა, რესპუბლიკური რადიომაუწყებლობის ახლანდელი დონე ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს მშრომელთა მზარდ მოთხოვნილებებს. ზოგიერთი გადაცემა სრულყოფილად ვერ გვიჩვენებს კომუნიზმის მშენებელი გმირი საბჭოთა ადამიანების მუშაობის მეთოდებს. სათანადო ყურადღება არ ექცევა მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების პროპაგანდას. მე განსაკუთრებით მინდა გავუსვა ხაზი უხვი მოსავლის ოსტატთა, მოწინავე მეცხოველეთა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის ნოვატორთა მუშაობის მეთოდების ჩვენების აუცილებლობას. ჩემი აზრით, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ნოვატორთა მუშაობის გამოცდილება, მათი მეთოდები და ხერხები უნდა ვაჩვენოთ კონკრეტულად სრულიად შეუფერადებლად, სადად და გასაგებად.

სერიოზული ნაკლოვანებებია ქართული ხალხური მუსიკის პროპაგანდის დარგშიც.

ვფიქრობ, ჩვენს შენიშვნებს ანგარიშს გაუწევენ.

ს. დავითაია,
ცხაკაიას რაიონის ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის აგროტექნიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი.

მეტი რეპორტაჟი შვიდწლედის გმირებზე

ამას წინათ სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ რადიოს მორიგ გადმოცემებს ვუსმენდი და როგორ გამეხარდა, როდესაც დიქტორმა გამოაცხადა ნახევარი წუთის შემდეგ მიკროფონთან არჩილ ძამაშვილის გამოსვლა მოისმინეთო. არჩილი ჩვენს საამქროში მუშაობს, მეგობარი კაცია. ამიტომ გასაგებია, როგორი გულისყურით მოვუსმენდი ამ გადმოცემას.

დიდი ინტერესით მოვისმინე წელს აგრეთვე მიკროფონთან შ. შუბითიძის, გ. სივუას, ა. იოხვიდოვიჩის და ჩვენი ქარხნის სხვა მოწინავეების გამოსვლა. ეს უდავოდ კარგი პრაქტიკაა და მომავალში უფრო ხშირად უნდა მოეწყოს.

ჩემი აზრით, რადიოში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ქალაქ რუსთავის კულტურული ცხოვრების, შვიდწლედის მშენებლობის, ქიმიის და სხვა საინტერესო საკითხების გაშუქებას. საჭიროა მეტი რეპორტაჟი და ცოცხალი საუბრები შვიდწლედის გმირებზე, წარმოების ნოვატორებზე.

ვ. კოპაძე,
ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს ოსტატი.

რადიო—ხალხის გიგანტური ტრიბუნა

◆

ა. კელენჯერიძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის თავმჯდომარე.

◆

წელს მეთოთხმეტეჯერ აღნიშნავს ჩვენი ქვეყანა და მასთან ერთად მთელი პროგრესული კაცობრიობა რადიოს დღეს — 7 მაისს.

საბჭოთა ადამიანები სიამაყით წარმოთქვამენ რადიოს გამომგონებლის ა. ს. პოპოვის სახელს. მისი დაბადების 100 წლისთავი ფართოდ და ზეიმით იყო აღნიშნული ჩვენს ქვეყანაში ამ თვენახევრის წინათ — 16 მარტს.

რადიო ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებელი ხალხის გიგანტურ ტრიბუნას წარმოადგენს. როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ თავის ისტორიულ გადაწყვეტილებებში აღნიშნა, რადიო-ტელევიზია დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს იდეოლოგიურ მუშაობაში, მშრომელი მასების კომუნისტურად აღზრდაში. განუზომლად იზრდება მისი როლი და მნიშვნელობა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

ვ. ი. ლენინი, როგორც ვიცით, რადიოს „უქაღალდო და უმანძილო გაზეთს“ უწოდებდა. და მართლაც, როდესაც იხსენებ ილიჩის მიერ ამ ნახევარი საუკუნის წინათ, 1901 წელს, გაზეთის მნიშვნელობის გასაოცრად სრულსა და ზუსტ განსაზღვრას, ნახულობ, რომ იგი მთლიანად და სავსებით შეეხება რადიოსაც.

რადიო-ტელევიზია მჭიდროდ შეიჭრა და დამკვიდრდა საბჭოთა ადამიანების ყოფა-ცხოვრებაში. საბჭოთა კავშირის ათობით მილიონი ადამიანი უსმენს ყოველდღიურად მრავალნაირ რადიოგადაცემებს, რომლებშიც აისახება წყაროსავით მჩქეფარე სისხლსავსე ცხოვრება ჩვენი ხალხისა, მისი შრომითი წარმატებები.

დიდი ინტერესით უსმენენ საბჭოთა ადამიანები იმ რადიოგადაცემებს, რომლებიც მოუთხრობენ მათ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ცხოვრების შესახებ და გულწრფელად ახარებთ სოციალისტური ქვეყნების ხალხთა თანამეგობრობის შესანიშნავი წარმატებები.

მიმდინარე შვიდწლედში რადიო და ტელევიზია შემდგომ განვითარებას ჰპოვებენ. 1965 წლისათვის დამთავრდება სოფლის სრული რადიოფიკაცია. გათვალისწინებულია მიმღებ რადიოდანადგართა ზრდა თითქმის ორჯერ — 30 მილიონით, რადიოსადგურთა სიმძლავრის გაზრდა და სამუშაოების დაჩქარება ულტრამოკლეტალღიანი მაუწყებლობის ფართოდ დანერგვისათვის. ახლა ულტრამოკლეტალღიანი რადიომაუწყებლობა წარმოებს საბჭოთა კავშირის 24 ქალაქში, მათ შორის თბილისშიც, სადაც ორი ასეთი გადამცემი მუშაობს.

სულ უფრო და უფრო ღრმად იკიდებს ფეხს საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში ტელევიზია. 1953 წელს ჩვენს ქვეყანაში 3 ტელეცენტრი მუშაობდა და 225-ზე მეტი ტელევიზორი ითვლებოდა. ახლა საბჭოთა კავშირში 58 ტელეცენტრი მუშაობს, მათ შორის თბილისის, და 3 მილიონამდე ტელევიზორი ირიცხება. წელს ტელეცენტრების რაოდენობა 70-მდე გაიზრდება. შვიდწლედის განმავლობაში კი აიგება დაახლოებით 100 ტელეცენტრი და სატელევიზიო სადგური, ტელევიზორთა რაოდენობა კი 15 მილიონს გადააჭარბებს. დაიწყება დაჩქარებული მუშაობა ფერადი ტელევიზიის დასანერგავად. უკვე წელს ნავარაუდევია მისი საცდელი გადაცემების დაწყება მოსკოვში.

შორ მანძილზე ტელეგადაცემების მოწყობა ხორციელდება რადიორელეური, საკაბელო ხაზებისა და რეტრანსლატორების საშუალებით. შვიდწლედში რადიორელეური ხაზების სიგრძე გაიზრდება 8,4-ჯერ, ხოლო საკაბელო ხაზებისა — 2-ჯერ, რაც შესაძლებელს გახდის მოსკოვის ტელეგადაცემები ნახონ მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებსა და სხვა ქალაქებში და მოეწყოს სატელევიზიო გადაცემების გაცვლა საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებს შორის, აგრეთვე მივიღოთ ტელეგადაცემები სოციალისტური ქვეყნების დედაქალაქებიდან.

როგორი პერსპექტივები ისახება საქართველოში რადიო და ტელემაუწყებლობის განვითარების მხრივ?

უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ ეს პერსპექტივები, ურიგო არ იქნება მოვახდინოთ მცირე ექსკურსი წარსულში და ვნახოთ რა გვქონდა ამ ახლო წარსულში, რა გვაქვს დღეს და რა გვექნება მომავალში.

რადიომაუწყებლობის წელთაღრიცხვა საქართველოში 1924 წლით იწყება, ე. ი. მას 35 წელი შეუსრულდა წელს თებერვალში. მაშინ რადიომაუწყებლობა რესპუბლიკაში 2 საათით განისაზღვრებოდა. ახლა კი საქართველოს რადიოს გადაცემები წარმოებს ხუთ ტალღაზე, ორი პროგრამით, 6 ენაზე და მოიცავს 17 საათსა და 30 წუთს დღეში.

რესპუბლიკაში ირიცხება 154.240 რადიომიმღები, მუშაობს 342 რადიოკვანძი, რომლებიც ემსახურებიან 297.797 რადიოწერტს. შვიდწლედში სატრანსლაციო წერტების რაოდენობა გაიზრდება და 1965 წლისათვის 618.158 მიაღწევს, ე. ი. 1959 წელთან შედარებით გაიზრდება 110 პროცენტით, უმეტესად სოფლად.

რამდენადაც სიტყვა რადიოკვანძებსა და სატრანსლაციო წერტებზე ჩამოვაგდეთ, უნდა ვთქვათ, რომ ძალიან ბევრი საყვედური ისმის მათი ცუდი მუშაობის შესახებ სოფლად.

ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს კავშირგაბმულობის სამინისტრომ და მიიღოს ყველა ზომა რადიომაუწყებლობის დანადგართა უნაკლოდ მუშაობისათვის. ეს მით უმეტეს აუცილებელია, რომ ახალ შვიდწლედში მავთულებით რადიომაუწყებლობის განვითარების ფართო პერსპექტივებია დასახული, რადგან იგი მაუწყებლობის ყველაზე საიმედო საშუალებად არის მიჩნეული.

რაც შეეხება ტელევიზიას, იგი სრულიად ახალი საქმეა ჩვენი რესპუბლიკისათვის. მესამე წელია, რაც მუშაობს თბილისის ტელეცენტრის პირველი რიგი. 1957 წელს ტელეგადაცემები წარმოებდა დღეში 2 საათსა და 10 წუთს, წელს იგი შეადგენს 3 საათსა და 20 წუთს, 1965 წლისათვის იწარმოებს 7 საათს ორი პროგრამით. შვიდწლედის დამლევისათვის თბილისში გვექნება რადიო და ტელევიზიის უახლესი ტექნიკით აღჭურვილი რადიოსახლი სრულყოფილი რადიო და სატელევიზიო სტუდიებითა და დამხმარე ნაგებობებით.

რადიომაუწყებლობისა და ტელემაუწყებლობის შემდგომი განვითარებისათვის ამ ობიექტის მშენებლობის დროულად დამთავრებას და საექსპლოატაციოდ გადაცემას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. უამისოდ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის მუშაობა ახლა ძალიან ბრკოლდება. ის ტემპი, რომლითაც ახლა რადიოსახლი შენდება, ვერ უზრუნველყოფს მის დამთავრებას ნავარაუდევ ვადებში. მაშასადამე საჭიროა სამშენებლო სამუშაოების დაჩქარება და სახლის დროულად დამთავრება. ეს მეტად საჭირბოროტო საკითხია ახლა თბილისისათვის.

თავდაპირველად, როცა თბილისის ტელეცენტრის პირველი რიგი ამუშავდა, ტელეგადაცემათა გავრცელების არე ქალაქის ფარგლებს არ სცილდებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც შარშან გორში, სტალინირში, ბოლნისსა და წინანდალში დაიდგა სატელევიზიო რეტრანსლატორები, თბილისის ტელეგადაცემებს უკვე ხედავენ ქართლ-კახეთის მთელ რიგ რაიონებში, ხოლო წელს ასეთივე რეტრანსლატორების დუშეთში, თელავში, ლენინგორში, სიღნაღში, გურჯაანსა და ახალციხეში დადგმის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებს მიეცემათ შესაძლებლობა იხილონ თბილისის ტელეგადაცემები.

ამრიგად, ეს საკითხი აღმოსავლეთ საქართველოსათვის შედარებით იოლად გადაწყდება.

მეტ სირთულესთან არის დაკავშირებული დასავლეთ საქართველოს ტელევიზირების საკითხი, იგი დაკავშირებულია რადიორელეური ხაზის აშენებასთან.

ასეთი ხაზის მშენებლობა ნავარაუდევი აქვს კავშირგაბმულობის სამინისტროს ამ შვიდწლედში მოსკოვ-სოჭი-თბილისის ტრასით, რომელსაც ექნება განშტოება ბათუმისაკენ. ამ ხაზის აგება გარდა იმისა, რომ საშუალებას მოგვცემს მივიღოთ მოსკოვის, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქების, აგრეთვე სოციალისტური ქვეყნების ზოგიერთი დედაქალაქისა და საბჭოთა კავშირის მთელი რიგი ქალაქების ტელეგადაცემები, შესაძლებელს გახდის ამასთან დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონს ყოველდღიურად ვუჩვენოთ თბილისის ტელეგადაცემები.

ამას გარდა რადიორელეური ხაზების მშენებლობის შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებს ასეთი ხაზების გაყვანას თბილის-ბაქოსა და თბილის-ერევანს შორის, რაც აგრეთვე გამოყენებული იქნება იმისათვის, რომ გავუცვალოთ ტელეპროგრამები მოძმე აზერბაიჯანსა და სომხეთს.

მცირე სატელევიზიო სტუდიები მოეწყობა სოხუმში, ბათუმსა და სტალინირში ადგილობრივ ტელეგადაცემათა საწარმოებლად.

და თუ ახლა რესპუბლიკაში 21.659 ტელევიზორი ირიცხება, უნდა ვივარაუდოთ, რომ ხსენებულ ღონისძიებათა განხორციელების შემდეგ მათი რიცხვი ათჯერ და მეტად გაიზრდება, თუმცა ახლაც გაცილებით მეტი ტელევიზორი შეიძლება იყოს რესპუბლიკაში, სავაჭრო ორგანიზაციები უფრო მოქნილად რომ მუშაობდნენ. აუარებელი მომხმარებლის მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელი რჩება იმის გამო, რომ ტელევიზორები სავაჭრო ქსელში არ მოიპოვება.

ასეთია რადიომაუწყებლობისა და ტელემაუწყებლობის განვითარების პერსპექტივები რესპუბლიკაში.

რაც შეეხება რადიოგადაცემათა და ტელეგადაცემათა შინაარსს, შეიძლება ითქვას, რომ მისი დონე მნიშვნელოვნად ამაღლდა გასულ წელთან შედარებით. ჩვენი გადაცემები, თვით მრავალრიცხოვან მსმენელთა და მაყურებელთა დამოწმებით, უფრო შინაარსიანი, მიმზიდველი და საინტერესო გახდა. ბევრ ჩვენს გადაცემას ინტერესით ისმენენ როგორც საბჭოთა კავშირში, ისე დემოკრატიულ ქვეყნებში. საქართველოს რადიოს ორმა მხატვრულმა დადგმამ — „ზაქარია ფალიაშვილმა“ და „ქიტესა ქვათაძემ“ — გაიმარჯვეს საუკეთესო რადიოდადგმებზე გამოცხადებულ საკავშირო კონკურსში. პირველმა მიიღო პირველი ხარისხის დიპლომი, ხოლო მეორე აღინიშნა ჟიურის მიერ.

ახლა რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის მუშაობის მთავარ საგანს შეადგენს სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა და ამ ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების ფართო პროპაგანდა და პოპულარიზაცია.

საქართველოს რადიო-ტელევიზიის კოლექტივი, რომელსაც ღრმად აქვს შეგნებული ის დიდი პასუხისმგებლობა, რასაც აკისრებს მას პარტია გაშლილი კომუნისტური მშენებლობის დიადი გეგმების პროპაგანდისა და მათ შესასრულებლად მასების დარაზმვისათვის, ყოველნაირად ცდილობს, რომ რადიომაუწყებლობა და ტელევიზია რესპუბლიკაში წარმოებდეს მაღალ დონეზე.

მაგრამ მის მუშაობაში მაინც შესამჩნევია სერიოზული ნაკლოვანებანი.

როგორც ვთქვით, რადიო წარმოადგენს მასების აღზრდის, მათზე ზემოქმედების საუკეთესო საშუალებას. მაგრამ ზოგჯერ ჩვენ მას შესაფერისად და მოხერხებულად ვერ ვიყენებთ. ხშირად ჩვენი საუბრები პოლიტიკურ თემებზე ერთფეროვანია. თვით პროგრამებიც ვერ სდგება შესაფერისად.

ამ და სხვა ნაკლოვანებათა გამოსწორება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კოლექტივს შესწევს მათი დაძლევის უნარი.

საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები, რომლებიც ხელმძღვანელობენ პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით, მოწოდებული არიან შექმნან ისეთი პროგრამები, რომლებიც უპასუხებენ რადიომსმენელთა და ტელემაყურებელთა მაღალ მოთხოვნებს, მშრომელთა კომუნისტურად აღზრდის ამოცანებს.

სსრ კავშირის მთავრობის ნოტა იაპონიის მთავრობისადმი

სსრ კავშირის საელჩომ იაპონიაში 4 მაისს იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა საბჭოთა მთავრობის ნოტა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ატომური იარაღით იაპონიის აღჭურვისა და იაპონიის ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოს ატომური და რაკეტული ბაზების შექმნის გამო საბჭოთა მთავრობა იძულებული გახდებოდა, განახორციელოს ყველა ღონისძიება, რომლებსაც მოითხოვენ საბჭოთა შორეული აღმოსავლეთის უშიშროების ინტერესები.

ნოტაში ნათქვამია, რომ საბჭოთა მთავრობას თავის მოვალეობად მიაჩნია დროზე გააფრთხილოს იაპონიის მთავრობა, თუ რა მძიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს იაპონელი ხალხისათვის იმ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ჩაითრიონ იაპონია ატომური ომისათვის მზადებაში.

საბჭოთა კავშირის მთავრობას, ნათქვამია ნოტაში, უკვე არაერთხელ გამოუთქვამს თავისი რწმენა, რომ იაპონიის უშიშროების უზრუნველყოფის გზა არის არა იაპონიის ატომური შეიარაღება, არამედ მის ტერიტორიაზე უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია, ის, რომ იაპონიამ განახორციელოს ნეიტრალიტეტის პოლიტიკა.

საბჭოთა მთავრობამ კვლავ დაადასტურა, რომ იგი მზად არის უზრუნველყოს იაპონიის მუდმივი ნეიტრალიტეტის პატივისცემა და დაცვა. როგორც აღნიშნულია ნოტაში, ამ მიზნით შეიძლება იაპონიის მთავრობასთან ერთად განხილულ იქნას საკითხი იმის შესახებ, რომ სსრ კავშირსა და იაპონიას შორის ან სსრ კავშირს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და იაპონიას შორის დაიდოს შესაბამისი ხელშეკრულება. შეიძლებოდა აგრეთვე განხილულ იქნას საკითხი იმის შესახებ, რომ მრავალმხრივი ხელშეკრულება დაიდოს იაპონიის ნეიტრალიტეტის კოლექტიური გარანტიების შესახებ სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, იაპონიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და აზიისა და წყნარი ოკეანის აუზის სხვა დაინტერესებული ქვეყნების მონაწილეობით. თუ იაპონია გამოთქვამს სურვილს, რომ მისი ნეიტრალიტეტი გარანტირებულ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ, საბჭოთა მთავრობა მიესალმება ამ საკითხის ასეთ გადაჭრასაც.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ შორეული აღმოსავლეთის მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს, თვით იაპონიისა და შორეული აღმოსავლეთის სხვა სახელმწიფოთა უშიშროების განმტკიცების ინტერესებს შეესაბამება მშვიდობის ზონის და პირველ რიგში ატომური და წყალბადის იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნა შორეულ აღმოსავლეთში და მთელ წყნარი ოკეანის აუზში. სსრ კავშირის მთავრობა, ნათქვამია ნოტაში, მზად არის ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი მშვიდობის ასეთი ზონის შექმნას.

საბჭოთა მთავრობა მოელის, რომ იაპონიის მთავრობა მოგვცემს საჭირო განმარტებას, თუ როგორია მისი პოზიცია ატომური და წყალბადის იარაღით იაპონიის შეიარაღებული ძალების აღჭურვის საკითხსა და იაპონიის ტერიტორიაზე მდებარე ამერიკის სამხედრო ბაზებში ატომური იარაღის შეზიდვის საკითხში. (საკდესი).

ყოველი მხრიდან

ბარზანის განცხადება

ბაღდადი, 5 მაისი. (საკდესი). ერაყის თვალსაჩინო პოლიტიკურმა მოღვაწემ, ქურთების 1943-1946 წლების აჯანყების ხელმძღვანელმა მუსტაფა ბარზანიმ გაზეთ „აზ-ზამანში“ გამოაქვეყნა განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ერაყს საბჭოთა კავშირიდან დაბრუნდნენ ერაყელი ქურთები — ამ აჯანყების მონაწილენი. განცხადებაში ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ აღდგა განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის ბარზანის ტომი, რომელიც სასოწარკვეთილებამდე იყო მიყვანილი დევნით, ჩაგვრით და უუფლებო მდგომარეობით, რომელშიც იგი იმყოფებოდა რეაქციული რეჟიმის წლებში, იმაზე, თუ როგორ იყვნენ იძულებულნი აჯანყებულნი მედგარი ბრძოლების შემდეგ, გარშემორტყმულნი ყოველი მხრივ ერაყელი, თურქი და ირანელი დამსჯელების მიერ, უკან დაეხიათ ჩრდილოეთ ირანში, შემდეგ კი პოლიტიკური თავშესაფარი მიეღოთ საბჭოთა კავშირში.

„წინანდელი რეჟიმის მმართველმა წრეებმა, — ნათქვამია განცხადებაში, — სასტიკ ტერორს მიმართეს ტომის წარმომადგენელთა მიმართ, რომლებიც დარჩნენ ერაყის ტერიტორიაზე, — მოხუცების, ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ“. რაც შეეხება ბარზანის ტომის წევრებს, რომლებიც სსრ კავშირში ჩამოვიდნენ, როგორც ხაზგასმით აღნიშნულია განცხადებაში, მათ მზრუნველობა აღმოუჩინა საბჭოთა ხალხმა. „...საბჭოთა მთავრობამ და ხალხმა მიგვიღეს თბილი სტუმართმოყვარეობის, გულითადობის, ზრუნვისა და პატივისცემის გრძნობით. საბჭოთა კონსტიტუციის შესაბამისად ვსარგებლობდით თანასწორი უფლებებით საბჭოთა მოქალაქეებთან მათგან სრულიად განუსხვავებლად. ჩვენს შორის იმათ, ვისაც სწავლა სურდა, შესაძლებლობა ჰქონდა მიეღო განათლება საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში...“

შემდეგ განცხადებაში ნათქვამია, რომ ერაყის რევოლუციამ გაათავისუფლა ერაყელი ხალხი, და მათ შორის ქურთისტანის მოსახლეობა, მონობისაგან, კოლონიალიზმისა და რეაქციისაგან. რევოლუციამ შესაძლებლობა მისცა ქურთ ემიგრანტებს საბჭოთა კავშირიდან სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. „საბჭოთა ხელისუფლებმა, — აღნიშნულია განცხადებაში, — ქურთებს გაუადვილეს შესაძლებლობა ერაყში დასაბრუნებლად, მათს განკარგულებაში იყო თბომავალი, უზრუნველყვეს ისინი სამედიცინო მომსახურებით და ყველაფრით, რაც საჭირო იყო“.

შემდეგ განცხადებაში გადაჭრით მხილებულია დასავლეთის ბურჟუაზიული პრესის ყალბი მტკიცება, ისრაელის პრესის, აგრეთვე არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მმართველი წრეების აზრი, თითქოს რეპატრიანტთა შორის საბჭოთა თბომავალზე იყვნენ ქურთი ეროვნების ისეთი პირები, რომლებიც მუდამ სსრ. კავშირში ცხოვრობდნენ, აგრეთვე რომ საბჭოთა თბომავალმა ერაყში ჩაიტანა იარაღის დიდი პარტია და სხვ. „არავისათვის საიდუმლოება არ არის,—ნათქვამია განცხადებაში,—რომ მთელი ეს მტრული კამპანია მიმართულია ერაყის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის — ყველა ხალხის, მათ შორის ერაყელი ხალხის ძლიერი და გულწრფელი მეგობრის წინააღმდეგ, ხალხებისა, რომლებიც იბრძვიან დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. უარყოფ რა ამ ცილისმწამებლურ ცნობებს, მსურს გამოვთქვა ჩემი სახელით, აგრეთვე ყველა ქურთის სახელით მხურვალე მადლობა საბჭოთა ხალხისა და საბჭოთა მთავრობისადმი, რომლებმაც შესაძლებლობა მოგვცეს დავბრუნებულიყავით სამშობლოში, რათა ერაყელ მოქალაქეებთან ერთად ვიშრომოთ ჩვენი რესპუბლიკის დაცვისათვის, მისი აყვავებისა და პროგრესისათვის ერაყელი ხალხის ერთგული შვილის აბდელ ქერიმ ყასემის ხელმძღვანელობით.

გაუმარჯოს ჩვენს რესპუბლიკას, რომელიც მიდის აყვავებისა და პროგრესის გზით! გაუმარჯოს მშვიდობისა და თავისუფლების საკეთილდღეოდ ერაყ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!“

გრძელდება დასავლეთ გერმანიის ხელისუფალთა თვითნებობა

ბერლინი, 5 მაისი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის ხელისუფალნი განაგრძობენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეთა დევნას, რომლებიც დასავლეთ გერმანიაში ჩადიან იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც ორივე გერმანული სახელმწიფოს მცხოვრებთ აინტერესებს. როგორც ადნის სააგენტო გადმოგვცემს, ლუდვიგსშტადტის სასაზღვრო სადგურში დასავლეთ გერმანიის პოლიციამ დააპატიმრა დრეზდენის ობერ-ბურგომისტრის მოადგილე პიტრეკი. ამჟამად იგი იმყოფება შტუტგარტის საპყრობილეში.

ჰამბურგში დააპატიმრეს კუნძულ რიუგენის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირის თავმჯდომარე გ. დერპი.

დასავლეთ გერმანიის სასამართლომ ამ დღეებში 4 თვის პატიმრობა მიუსაჯა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეს გ. შიმს, რომელიც დასავლეთ გერმანიაში ჩავიდა, რათა მიუნხენის ქარხნის „ბმვ“ მუშებთან ერთად განეხილა სასპორტო დელეგაციების გაცვლის საკითხი.

ჯაკარტაში გაიხსნა საბჭოთა გამოფენა

ჯაკარტა, 4 მაისი. (საკდესი). დღეს ჯაკარტაში გაიხსნა საბჭოთა მეცნიერულ-ტექნიკური გამოფენა „ატომური ენერგიის გამოყენება მშვიდობიანი მიზნით“.

ჯაკარტის მერმა სუდირომ გამოფენის გახსნის ცერემონიაზე თქვა: „უკანასკნელ ხანამდე ინდონეზიელმა ხალხმა იცოდა მხოლოდ, რომ ატომურ ენერგიას საშინელი დამანგრეველი ძალა ჰქონდა. კაცობრიობის მეხსიერებაში არ წაიშლება ხიროსიმისა და ნაგასაკის საშინელებანი. ახლა ჩვენ პირველად გვაქვს შესაძლებლობა გავეცნოთ, თუ როგორ იყენებენ ამ ენერგიას ადამიანთა საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ“. სუდირომ დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოთა სპეციალისტებს, რომელნიც ინდონეზიაში ჩამოვიდნენ გამოფენის მოსაწყობად.

სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე მრეწველობის მინისტრმა ინგკირიევანგმა, ატომური კვლევის კომიტეტის თავმჯდომარემ პროფესორმა სივაბესიმ, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩმა ინდონეზიაში ვ. მ. ვოლკოვმა, რომელმაც თავის სიტყვაში გამოთქვა სურვილი, რომ ამ გამოფენამ ხელი შეუწყოს ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას.

გამოფენაზე ექსპონირებულია მოდელი მსოფლიოში პირველი ატომური ელექტროსადგურისა, რომელიც საბჭოთა კავშირში აშენდა, მოდელი ატომური ყინულმჭრელის „ლენინისა“.

გამოფენის მნახველებს უჩვენებენ მეცნიერულ-ტექნიკურ ფილმებს, მოეწყობა ლექციები მშვიდობიანი მიზნით ატომური ენერგიის გამოყენების შესახებ.

გამოფენა დაახლოებით ორ კვირას იქნება ღია.

ბერლინის დემოკრატიული პრესა საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატების შესახებ

ბერლინი, 5 მაისი. (საკდესი). ბერლინის დემოკრატიული გაზეთები ეხებიან „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების მინიჭებას მთელი რიგი ქვეყნების მშვიდობისათვის გამოჩენილი მებრძოლებისადმი და განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს საპატიო პრემიები მიენიჭათ ნ. ს. ხრუშჩოვს, აგრეთვე გერმანიის მუშათა მოძრაობის მოღვაწეს ოტო ბუხვიცს.

გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ წერს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვი თავის მოღვაწეობაში მშვიდობის საკეთილდღეოდ, არის რა გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, ყველაზე დამაჯერებლად ასახიერებს პირველი სოციალისტური სახელმწიფოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, რომლებსაც მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება მუდამ თავიანთ მთავარ ამოცანად მიაჩნდათ. გაზეთი აგრეთვე აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვის თვალსაჩინო პირად წვლილს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში.

ეხება რა ოტო ბუხვიცისათვის პრემიის მინიჭებას, „ნოიეს დოიჩლანდი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთელი მისი ცხოვრება განუყრელად დაკავშირებულია გერმანიის მუშათა მოძრაობასთან და რომ მთელი თავისი ძალები მან მოახმარა მუშათა კლასის ერთობის დიად საქმეს.

ვიდრე ტელეეკრანს ჩართავდნენ

რადიო კარგახანია დამკვიდრდა ადამიანის ცხოვრებაში, ტელევიზორი კი, რადიოტექნიკის ეს ბრწყინვალე მიღწევა, შედარებით ახალი მოვლენაა. ახალი და თავისებურია ამასთან დაკავშირებული სარედაქციო და სასტუდიო მუშაობა და არსებითად განსხვავდება საგაზეთო და თვით რადიოსამაუწყებლო მუშაობისაგან. მკითხველისა და მსმენელის ნაცვლად აქ ჩვენს წინაშეა მაყურებელი. სწორედ ეს ფაქტორი განსაზღვრავს სატელევიზიო სტუდიისა და მისი რედაქციების მუშაობის თავისებურებას.

თბილისის ტელესტუდიამ, მიუხედავად იმისა, რომ იგი დღემდე უზრუნველყოფილი არ არის სრული ტექნიკური აღჭურვილობით, არსებობის ორი წლის მანძილზე საკმაო გამოცდილება შეიძინა და მრავალი კარგი გადაცემაც უჩვენა მაყურებელს. ახლა უკვე თამამად შეგვიძლია შევიხედოთ მის კაბინეტებსა და ლაბორატორიებში, რედაქციებში, რათა გარკვეული პასუხი მივიღოთ კითხვაზე: როგორ მზადდება ტელეგადაცემა?

ამჟამად სტუდიის ექვს რედაქციას შორის არის განაწილებული ფუნქციები სხვადასხვა გადაცემათა მოსამზადებლად. ესენია: პოლიტიკური, სამეცნიერო-პოპულარული, ლიტერატურულ-დრამატული, მუსიკალური, საბავშვო და კინოგადაცემათა რედაქციები. ამას გარდა ცალკეა კინოგადამღები ჯგუფი, რომელიც სხვა რედაქციებთან ერთად ამზადებს გადაცემებს.

ჟურნალ-გაზეთებში გამოსაქვეყნებელ მასალებზე მუშაობა ძირითადად ავტორებთან მთავრდება, რედაქციაში ლიტერატურული დამუშავებისა და რედაქტირების შემდეგ უკვე შეიძლება მათი გამოქვეყნება. ტელესტუდიაში კი ტექსტზე მუშაობა ლიტერატურული რედაქტირების შემდეგაც დიდხანს გრძელდება. საქმე ის არის, რომ აქ ყოველი ლიტერატურული მასალა თვალსაჩინოებად უნდა იქცეს. ტელემაყურებელი არა მარტო უნდა ისმენდეს, არამედ კიდევაც ხედავდეს. ტექსტის ასეთი გათვალსაჩინოება, ილუსტრირება დამატებით მუშაობას მოითხოვს და ეს სამუშაო ტელევიზიაში ერთ-ერთი ყველაზე პასუხსაგები და სპეციფიკურია. ამ საქმეს რეჟისორები აკეთებენ ასისტენტებთან და თანაშემწეებთან ერთად, რომელთა საშტატო ერთეული ცალკეა ყველა რედაქციაში.

რეჟისორი დიდხანს და დაკვირვებით მუშაობს ტექსტზე, ეძებს საილუსტრაციო საშუალებებს. კადრირებისათვის მას შეუძლია გამოიყენოს სტატიკური გამოსახულება (ფოტოილუსტრაციები), სტუდიური გამოსახულება (მსახიობი, დიქტორი), კინომასალა. როდესაც ყოველივე ეს ტექსტს შეერწყმება და შეეხამება, რეჟისორს შეუძლია სამუშაო დამთავრებულად ჩათვალოს. მაგრამ გადაცემა ჯერ კიდევ არ არის მზად, ტექსტზე პარალელურად მუშაობენ ხმის რეჟისორი და ოპერატორი. ისინი შეარჩევენ შესაფერ მუსიკას, ჩაწერენ ხმას.

ბოლოს, როცა ყველა ეს სამუშაო დამთავრდება, ეწყობა სტუდიური გადაცემის რეპეტიცია ან, როგორც აქ ამბობენ, მცირე ეთერში გაშვება. აქ მთავარი რედაქტორისა და მთავარი რეჟისორის ვიზას საბოლოოდ ამტკიცებს სტუდიის დირექტორი. ასეთი წესით მომზადებული გადაცემა ეთერში გასაშვებად იგზავნება ტელეცენტრში.

ტელეცენტრი სტუდიისათვის იგივეა, რაც რედაქციისათვის სტამბა. ვიდრე თქვენ ტელეგადაცემას ეკრანზე ნახავდეთ, აქ კიდევ მრავალი ტექნიკური სამუშაოა შესასრულებელი.

ასეთია მეტად ზოგადად და სქემატურად ტელეგადაცემის მომზადების პროცესი. ხოლო სხვადასხვა სახის ცალკეული გადაცემები სხვადასხვა წესით მზადდება.

როგორც ტელემაყურებელი ამჩნევს, თბილისის სატელევიზიო სტუდია სულ უფრო და უფრო აუმჯობესებს თავის გადაცემებს. ეს პირველ ყოვლისა იმით აიხსნება, რომ სტუდიის ახალგაზრდა შემოქმედებითი კოლექტივი თანდათან ოსტატდება, იმაღლებს კვალიფიკაციას, ამასთან უმჯობესდება სტუდიის ტექნიკური აღჭურვილობაც, რაც მის მუშაკებს საშუალებას აძლევს მეტი გასაქანი მისცენ შემოქმედებით მუშაობას.

უკანასკნელ დროს თბილისის ტელესტუდიის ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი იყო კინოგადამღები ჯგუფის შექმნა. სულ სამიოდე თვის მანძილზე ამ ჯგუფმა უკვე რამდენიმე კარგი სატელევიზიო კინონარკვევი შექმნა. მათ შორის აღსანიშნავია ნარკვევი რუსთაველი მეტალურგის ძამაშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადაზე, სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი „ბაკურიანი“ და სხვ. აღსანიშნავია, რომ კინოგადამღები ჯგუფის შექმნის შედეგად დიდად გაუმჯობესდა უკანასკნელი ცნობების გადაცემათა ხარისხი. წინათ უკანასკნელი ცნობების საილუსტრაციოდ ფოტოსურათებს იყენებდნენ, ახლა გადაცემაში, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, სატელევიზიო კინოკორესპონდენტის მიერ ადგილზე გადაღებულ კადრებს ჩართავენ. და ეს მეტად ოპერატიულად კეთდება. მაგალითად, 30 აპრილს ლაგოდეხში 2 საათზე ახალი ხიდი რომ გაიხსნა, იმავე საღამოს, უკვე ტელეეკრანზე უჩვენეს რეპორტაჟი ლაგოდეხიდან.

მომავალში თბილისის ტელესტუდიის გადაცემები უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო იქნება. გაიზრდება ტელეგადაცემათა რადიუსიც. შვიდწლედის ბოლოსათვის ოთხი ტელესტუდია ექნება თბილისს და მარტო ცენტრალური სტუდიიდან 7 საათს იწარმოებს გადაცემა, ამ გადაცემებს მთელ საქართველოში მოისმენენ რადიორელეური კავშირგაბმულობის ხაზით, რომელიც შენდება. ტელეგადაცემები მიღებულ იქნება აგრეთვე მოსკოვიდან.

ამჟამად საბურთალოზე შენდება სატელევიზიო ცენტრი რადიომაუწყებლობის კომპლექსით. მისი დამთავრების შემდეგ თბილისის ტელესტუდია სავსებით უზრუნველყოფილი იქნება ტექნიკური ბაზით, რაც მის კოლექტივს საშუალებას მისცემს უფრო ფართოდ გაშალოს შემოქმედებითი მუშაობა.

მ. მიქაძე,
ო. დემეტრაშვილი.

• • •

სურათებზე: (ზემოთ მარჯვნიდან) ტელესტუდიის საბავშვო გადაცემათა რედაქციის პასუხისმგებელი რედაქტორი ა. გაჩეჩილაძე, უფროსი რეჟისორი მ. ჯალიაშვილი, რეჟისორის თანაშემწე ლ. ხაჩიძე და რეჟისორის ასისტენტი ლ. ცქიტიშვილი ტელეგადაცემის სამზადისში; (ქვემოთ) მოძრავი სატელევიზიო სადგური „პტს-52“ უკვე „დინამოს“ სტადიონზეა. რამდენიმე წუთიც და დაიწყება ფეხბურთის მატჩის ტელეგადაცემა.

ფოტო გ. გოგოხიასი.

დანიას რაკეტული იარაღით აიარაღებენ

ვაშინგტონი, 5 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ 6 მაისს დანიის პირველი ბატალიონი, რომლის პირადი შემადგენლობა გასული წლის დამდეგიდან ამერიკის ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის ცენტრში სწავლობდა, მიიღებს „საჰურვლის სრულ კომპლექტს“ „ნიკის“ ტიპის რაკეტული ყუმბარებისათვის.

ბურჟუაზიული პრესის ზნე-ჩვეულება

შუბი ხალთაში არ დაიმალება

ამერიკული ჟურნალის „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტის“ გამომცემელმა და რედაქტორმა დევიდ ლოურენსმა თავისი ჟურნალისტური კარიერა პრესის ფურცლებზე წვრილმანი ქურდბაცაცობით, ფაქტების მცირედი აღრევით დაიწყო. მაგრამ იგი ახლა ის აღარ არის, რაც წინათ იყო. ახლა უოლსტრიტის ეს გაქნილი მსახური ხელს როდი ისვრის წვრილმანი ამბებით, მისი სტიქიაა მტკნარი სიცრუე, ცილისწამება, დეზინფორმაცია.

დევიდ ლოურენსი გატაცებულია ატომური ომის პროპაგანდით. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ მისი ჟურნალის ფურცლებზე მუდამ საპატიო ადგილი უჭირავს ოკეანესგაღმელ მეცნიერს ედვარდ ტელერს. ტელერი ის მეცნიერია, თუ მას ასე შეიძლება ეწოდოს, რომელმაც შარშან საქვეყნოდ „მეცნიერულად“ დაასაბუთა ამერიკის შეერთებული შტატების უარი ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტაზე.

დევიდ ლოურენსის ჟურნალში იშვიათად როდი იბეჭდება ატომური ომისაკენ მომწოდებელი განცხადებები, რომელთა ავტორები არიან სხვადასხვა რანგის ამერიკელი სამხედრო პირები. სწორედ ამ ჟურნალის ფურცლებზე დაიბეჭდა გენერალ ტუაინინგის სტატია, რომლითაც იგი მოითხოვდა „მთელი მსოფლიოს ხალხთა“ ინტერესების დაცვის მიზნით ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ატომგულის იარაღის „განუწყვეტლივ გამოცდას“.

მაგრამ ლოურენსის პროპაგანდისტული საქმიანობის არსენალი ამით არ ამოიწურება, მას კიდევ აქვს ერთი მუდმივი თემა — „მსოფლიო კომუნიზმი“. მისი ჟურნალის მტკიცებით „მსოფლიოში არსებულ ყველა არეულობაში“ დამნაშავენი „წითლები“ არიან. მაგრამ არ იკითხავთ რომელი „არეულობა“ აქვს მხედველობაში ლოურენსს? თურმე ნუ იტყვით, მას ასეთ „არეულობად“ ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური დაქვეითება მიაჩნია. ჩვენი ქვეყნის ეკონომიური დაქვეითება მხოლოდ და მხოლოდ „წითლების“ ბრალიაო, — გაიძახის. საკითხავია, იმაზე რაღას იტყვის ლოურენსი, რომ მის თანამემამულეთაგან ამჟამად 5 მილიონი კაცი უმუშევარია.

ვინ მოსთვლის რა არ შეუტანია „წითლების ბოროტმოქმედებათა“ თავის ნუსხაში ლოურენსს! ამ „ბოროტმოქმედებებად“ იგი თვლის „რასობრივ გართულებებსა“ და „ანტიამერიკულ კამპანიებს ლათინური ამერიკის ქვეყნებში“, „დემონსტრაციებს ინგლისში წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტისათვის“ და იმას, რომ „მილიონობით ადამიანისათვის იტალიაში პოლიტიკური კამპანიის თემას ამერიკის წინააღმდეგ აგიტაცია წარმოადგენს“. ყოველივე ამას და ჟურნალის მიერ ბევრ სხვა მოჩმახულ ამბავს, ლოურენსის აღიარებით „წონასწორობიდან“ გამოჰყავთ ამერიკის შეერთებული შტატები და მათი მოკავშირეები.

მაგრამ ლოურენსს ტყუილად ჰგონია, რომ მისი ჟურნალის მკითხველთა შორის ბევრია ისეთი პოლიტიკურად უვიცი, რომელიც ხალას ოქროდ მიიღებს მის ზღაპრებს „წითლების ბოროტმოქმედებათა“ შესახებ.

„პარი-მატჩის“ ოინები

ყოველკვირეული ილუსტრირებული ფრანგული ჟურნალი „პარი-მატჩი“ ფართოდ ცნობილია თავისი პოლიტიკური ჯამბაზობით. იგი არაერთხელ უმხილებიათ სიცრუესა და ცილისწამებაში, მაგრამ მაინც თავისას არ იშლის. ანდა რა შეარცხვენთ მის გამომცემელსა და რედაქტორებს, რომლებიც სანიმუშოდ არიან დახელოვნებული ბულვარული სენსაციების, ჭორებისა და ცილისწამების თხზვაში.

ჟურნალი „პარი-მატჩი“ გამუდმებით გაჰკივის, ჩვენ საერთაშორისო ცხოვრების ყველა მოვლენას ყველაზე ობიექტურად ვაშუქებთო. მაგრამ სინამდვილეში იგი ხშირად თვალს ხუჭავს, არ სურს შეამჩნიოს ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა მსოფლიოს პოლიტიკურ ასპარეზზე.

სამაგიეროდ ჟურნალი დიდი გულმოდგინებით ავრცელებს სენსაციურ ჭორებს, რომლებიც ხელს უწყობენ „ცივი ომის“ გაღვივებას. ამ რამდენიმე თვის წინათ „პარი-მატჩმა“ მოათავსა „დეპეშა“ იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი თითქოს „ალბანეთსა და უნგრეთში რაკეტების გასაშვებ მოედნებს ქმნის“. ეს მტკნარი სიცრუე თავის დროზე სათანადოდ უარყოფილ იქნა, მაგრამ ჟურნალის მკითხველებმა ვერაფერი გაიგეს ამ უარყოფის შესახებ.

მართალი რომ ითქვას, „პარი-მატჩის“ უტიფრობა და უნამუსობა გასაკვირველი როდია. ნათქვამია, დედა ნახე, მამა ნახე, შვილიც ისე გამონახეო. ჟურნალ „პარი-მატჩის“ მფლობელია საფრანგეთის ერთ-ერთი მსხვილი კაპიტალისტი ჟან პრუვო, რომელიც ამავე დროს საგამომცემლო საზოგადოება „ფიგაროს“ მთავარი აქციონერი და ჟურნალ „მარი-კლერის“ გამომცემელია.

თურქეთის პრესის „თავისუფლება“

თავისებურად ესმით პრესის თავისუფლება თურქეთის ხელისუფალთ: თავისუფალი ნააზრევის გამოქვეყნებისათვის დასჯის თავისუფლება — აი მათი სიბრძნე.

შარშან ნოემბერში თურქეთის სასამართლომ ერთი თვით დახურა გაზეთი „ულუსი“, ხოლო მის რედაქტორს ულკიუ არმანს ერთი წლით პატიმრობა მიუსაჯა. ვერც გაზეთ „ზაფერის“ რედაქტორი ფატინ ფუადი გადაურჩა ამგვარ „მართლმსაჯულებას“. ერთი სტატიის გამოქვეყნების გამო იგი 14 თვით საპყრობილეში გამოამწყვდიეს.

მაგრამ დასჯილ რედაქტორებს სულ მალე „გამოესარჩლა“ ამერიკული გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“. მან თავის ფურცლებზე ცოტათი შეახურა „ერთ-ერთი თავისი ყველაზე მტკიცე მოკავშირე“ ზემოაღწერილი სასამართლო განაჩენებისათვის, რადგან ამით მეტად „თვალნათლივ ჩანს, რომ თურქეთში არ არსებობს პრესის თავისუფლება“. ამერიკულმა გაზეთმა ასეთი დასკვნის გამოტანასთან ერთად იქვე აღუთქვა მკითხველებს, ნუ შეშინდებით, მალე თურქეთში მიიღებენ კანონს, რომლითაც რედაქტორებს საპყრობილეებში აღარ მოათავსებენ, მათ მხოლოდ ფულად ჯარიმას გადაახდევინებენ და აი სწორედ ამის შემდეგ აყვავდება და გაიფურჩქნება პრესის თავისუფლება თურქეთშიო.

მაგრამ თურქეთის სასამართლოებმა ყურად არ იღეს ამერიკული გაზეთის სიტყვები, ისინი კვლავ სასტიკ რეპრესიებს მიმართავენ. ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, თურქეთის ყოველკვირეული ჟურნალის „აკის“ გამომცემელს ტარიკ ხალულუს 16 თვით პატიმრობა მიესაჯა. ერთი წლით საპყრობილეში ჩასვეს ამავე ჟურნალის თანამშრომელი მეტინ ტოკერიც, რომლის სტატია თურქ ხელისუფალთ ჰკუაში არ დაუჯდათ.

ლ. ასტახიშვილი.



თავისუფალი... სინდისი საგან.

ნახ. გ. ლომიძისა.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ეიზენჰაუერის პრესკონფერენცია

ვაშინგტონი, 5 მაისი. (საკდესი). დღეს გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ეიზენჰაუერის პრეს-კონფერენცია, რომლის მსვლელობაში მას სთხოვეს საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის ძახლობელ თათბირთან დაკავშირებით გამოეთქვა აზრი ამ თათბირის პერსპექტივებზე. ეიზენჰაუერს ჰკითხეს, კერძოდ, თუ მისი აზრით, რამდენად წარმატებული უნდა იქნას საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი, რომ გამართლებულ იქნას მთავრობათა მეთაურების თათბირის მოწვევა. უპასუხა რა ამ კითხვაზე, ეიზენჰაუერმა თქვა, რომ იმედი აქვს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის მსვლელობაში მიღწეულ იქნება ერთგვარი პროგრესი. თათბირი უმაღლეს დონეზე, პრეზიდენტის აზრით, თითქმის ნამდვილად გაიმართება, თუ საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის შედეგად გაძლიერდება საერთაშორისო დაძაბულობის შენელების იმედი. ეიზენჰაუერმა თავი აარიდა საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის პერსპექტივების დაწვრილებით კომენტარს და ის დაიმოწმა, რომ 7 მაისს ამის შესახებ სპეციალურ განცხადებას გააკეთებს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰერტერი.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში „უცხო სახელმწიფოებისადმი დახმარების პროგრამის“ განხილვასთან დაკავშირებით ეიზენჰაუერი ამტკიცებდა, რომ ეს პროგრამა თითქოს არის საშუალება, რომელიც დახმარებას უწევს საერთაშორისო ვითარების დაძაბულობის შენელებას და რომ მას შეერთებული შტატები ახორციელებენ მშვიდობის უზრუნველყოფისათვის. ეიზენჰაუერმა გაილაშქრა „უშიშროების ურთიერთ უზრუნველყოფის პროგრამისათვის“ ასიგნებათა შემცირების წინააღმდეგ, რასაც მთავრობა მოითხოვს. მან დაიმოწმა ნატოს ქვეყნების არმიების მოდერნიზაციის საჭიროება, აგრეთვე ის, რომ ამ პროგრამის სამხედრო ასიგნებათა მნიშვნელოვანი ნაწილი განკუთვნილია ისეთი რაიონებისათვის, როგორიც არის კორეა და ტაივანი, სადაც, ეიზენჰაუერის სიტყვით, შეერთებულ შტატებს თავიანთი მტკიცე ვალდებულებები აქვთ.

უპასუხა რა კითხვაზე, აპირებს თუ არა იგი გამოიყენოს რასისტთა მიერ ზანგის ლინჩის წესით გასამართლების ამასწინანდელი შემთხვევა, რათა მოითხოვოს იმ კანონების გაძლიერება, რომლებიც მიმართულია რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ, ეიზენჰაუერმა თქვა, არ ვიცი, როგორ შეიძლება გაძლიერდეს არსებული კანონმდებლობა.

უცხოეთის ქრონიკა

◆ 6 მაისს საღამოს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ცოი ენ გენი და მისი თანმხლები პირები ჩეხოსლოვაკიიდან ბულგარეთში გაემგზავრნენ მეგობრული ვიზიტით.

◆ 5 მაისს ლონდონს სამი დღის ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა ირანის შაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი.

◆ როგორც პრეს ტრასტ ოფ ინდიას სააგენტოს კორესპონდენტი კატმანდუდან გადმოგვცემს, ნეპალის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სუბარნა შამშერმა პარლამენტის არჩევნების დებულების შესაბამისად გადადგომის განცხადება წარუდგინა მეფე მაჰენდრას. მეფემ სთხოვა სუბარნა შამშერს შეასრულოს თავისი მოვალეობა ახალი მთავრობის ჩამოყალიბებამდე.

მეფე მაჰენდრამ, როგორც სააგენტო იუწყება, მიიწვია საკონსულტაციოდ პარტია ნეპალის კონგრესის ლიდერი ბ. პ. კოირალა. მისმა პარტიამ ადგილების უმრავლესობა მიიღო ნეპალის პარლამენტის არჩევნებში ამა წლის გაზაფხულზე.

◆ პარიზის პრესა იუწყება, რომ გრძელდება საფრანგეთის ჯარებისა და ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის რაზმების გააფთრებული ბრძოლა. საფრანგეთის ჯარების შტაბის ცნობებით 27 აპრილიდან 3 მაისამდე ალჟირის არმიის ზარალი მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვედ წამოყვანილთა სახით შეადგენს 911 კაცს. ამავე დროს საფრანგეთის ჯარებმა მარტო მოკლულთა სახით დაკარგეს 66 კაცი.

მიწისძვრა კამჩატკის რაიონში

კამჩატკის პეტროპავლოვსკი, 5 მაისი. (საკდესი). გუშინ 19 საათსა და 17 წუთზე წყნარი ოკეანის ფსკერქვეშ სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით კამჩატკის ნახევარკუნძულის სანაპიროდან მოხდა მიწისძვრა. მიწისძვრის ძლიერება, რაც რეგისტრირებულია კამჩატკის პეტროპავლოვსკში, შეადგენდა დაახლოებით რვა ბალს. ქალაქსა და ახლომახლო რაიონებში აღნიშნულია შენობების დაზიანება. მიწისძვრის შედეგად დაიღუპა ერთი კაცი და დაშავდა 13 კაცი.

საწარმონი და დაწესებულებანი ნორმალურად მუშაობენ.

სპორტული ამბები

მშვიდობის ველორბოლა

გრძელდება საერთაშორისო მშვიდობის ველორბოლა მარშრუტით ბერლინი — პრაღა — ვარშავა. დისტანცია შეადგენს 2.057 კილომეტრს და გაყოფილია 13 ეტაპად.

4 მაისს მოეწყო ველორბოლის მესამე ეტაპი — მაგდებურგი — ლაიპციგი (150 კილომეტრი). ლაიპციგის ცენტრალურ სტადიონზე ფინიშთან პირველი მივიდა საბჭოთა სპორტსმენი ბ. ბებენინი, რომელსაც მაყურებლები ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ.

მესამე ეტაპზე გუნდურ ჩათვლაში უძლიერესები იყვნენ საბჭოთა ველომრბოლები. მეორე ადგილზე გამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი.

5 მაისს შედგა ველორბოლის მეოთხე ეტაპი — ლაიპციგი — კარლ-მარქს-შტადტი. ეს ეტაპი გაყოფილი იყო ორ ნახევარ ეტაპად (40 და 143 კილომეტრი). ორივე ნახევარ ეტაპზე პირველი ადგილი დაიკავეს იტალიელმა ველომრბოლებმა — რ. ვენტურელმა და მ. ბამპიმ.

4 ეტაპის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზეა იტალიის ველომრბოლთა კოლექტივი, პირად ასპარეზობაში — ამავე გუნდის წარმომადგენელი რ. ვენტურელი. სსრ კავშირის გუნდს მე-4 ადგილი უკავია.

საქართველოს ტანმოვარჯიშეთა გამგზავრება

საქართველოს ტანმოვარჯიშე ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდი საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრების მოსაწყობად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გაემგზავრა. პეკინში და ჩინეთის სხვა ქალაქებში საქართველოს ტანმოვარჯიშეები დაჰყოფენ 6-დან 25 მაისამდე. აქ ისინი გაივლიან წვრთნას, მოაწყობენ მატჩებს.

რამდენიმე სტრიქონით

⊙ სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა გუნდმა ევროპის ჩემპიონატის წინ, რომელიც სტამბოლში მოეწყობა, ბუდაპეშტში გამართა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი უნგრეთის ნაკრებთან. შეხვედრა დამთავრდა უნგრელ კალათბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 61 : 58.

⊙ ქ. პლოვდივში გრძელდება მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირი ჭადრაკში ქალთა შორის.

3 და 4 მაისს გაიმართა მეორე და მესამე ტური, ხოლო 5 მაისს პირველ ტურში გადადებული პარტიების დამთავრება. წინ არიან საბჭოთა მოჭადრაკე ქალები ლ. ვოლპერტი და ს. როოტარე.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

ქ. თბილისის კბილის სატექნიკო სასწავლებელი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1959-60 სასწავლო წელს დაუსწრებელ განყოფილებაზე.

სწავლების ვადა 3 წელი. სასწავლებელში მიიღებიან არასრული საშუალო განათლების ორივე სქესის მოქალაქენი მიუხედავად ასაკისა, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული გამოცდილება აღნიშნულ სპეციალობაში და ამჟამად მუშაობენ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში კბილის ტექნიკოსის თანამდებობაზე.

მსურველს შემოაქვს განცხადება პირადად დირექტორის სახელზე, შემდეგი საბუთების თანდართვით: მოწმობა განათლების შესახებ (დედანი), ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა № 286), დახასიათება-რეკომენდაცია სამუშაო ადგილიდან, დაწესებულების ხელმძღვანელისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელთა მიერ ხელმოწერილი და სათანადოდ შემოწმებული, შრომის წიგნაკის ამონაწერი, შემოწმებული ნოტარიუსის მიერ, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, სამი ფოტოსურათი (3×4 სმ. უქუდოდ, შემოწმებული), ავტობიოგრაფია, ცნობა სამსახურიდან.

სამამულო ომის მონაწილენი და დემობილიზებულნი ადგენენ სამხედრო ბილეთის ამონაწერს ან ცნობას სამხედრო კომისარიატიდან. მისაღები გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), მათემატიკაში (ზეპირი) და შემოწმებითი გამოცდა რუსულ ენაში.

განცხადებები მიიღება 10 ივლისამდე საღამოს 7-დან 9 საათამდე ფალიაშვილის ქ. № 42, მისაღები გამოცდები დაიწყება 15 ივლისს.

უე. 02636
საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“ ლენინის ქ. № 14.